პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 244 (5045) | კვირა, 24 ოქტომბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

თბილისის უდიდეს საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებებმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად უმაგალითო რევოლუციური ენტუზიაზმით დაასახელეს ამხანაგი სტალინი და მისი უახლოესი თანამებრძოლნი — ამხანაგები მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, ეჟოვი, ბერია და ბლიუხერი.

დასახელებულია აგრეთვე საქ. სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. ბაქრაძის, საბჭოთა კავშირის გმირის, მფრინავ ამხ. ვოდოპიანოვის და სტახანოველი-მუშების წიკლაურისა და მაზანაშვილის კანდიდატურები.

თბილისის მშრომელთა პირველი კანდიდატები

მუშა-მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსწავლეთა გუშინდელი მრავალრიცხოვანი წინასაარჩევნო კრებები, რომლებმაც ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის ფაბრიკა-ქარხნებსა, დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში უმაგალითო ენტუზიაზმითა და აღფრთოვანებით ჩაიარეს, წარმოადგენდნენ ლენინ-სტალინის პარტიის ირგვლივ მშრომელთა უპარტიოესი მასების შემჭიდროებისა და დარაზმულობის შესანიშნავ დემონსტრაციას. თბილისის მოქალაქეები აყენებდნენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატებს.

რა მკაფიოდ მოსჩანდა ამ შესანიშნავ კრებებზე კომუნისტთა განუყრელი კავშირი უპარტიოებთან! მასების რა უდიდესი ერთგულება და სიყვარული გამოიხატებოდა ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი, ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი უპარტიო მუშებისა და მოსამსახურეების ცეცხლოვან და ამაღელვებელ სიტყვებში!

თბილისის მშრომელებმა გამოხატეს ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთა აზრები და გრძნობები, როცა ერთსულოვანი მოწონების გუგუნსა და მქუხარე ტაშის გრიალში კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ხალხთა საყვარელი ბელადი დიდი **სტალინი** და მისი ღირსეული თანამებრძოლები.

კრებებზე გამოსული მუშებისა, მოსამსახურეებისა და სტუდენტების, როგორც პარტიულების, ისე უპარტიოების, გულიდან ამონახეთქი ღრმა სიყვარულისა და მადლობის სიტყვები პირველ რიგში მიმართული იყო სტალინური კონსტიტუციის შემოქმედის, სოციალიზმის მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორის, ხალხთა საყვარელი ბელადის, მამისა და მასწავლებლის დიდი სტალინისადმი, რომელმაც ჩვენი ქვეყანა ბედნიერ და სამურ ცხოვრებამდე მიიყვანა.

— ამიერ-კავკასიის რკინიგზის ყოფილი მთავარი სახელოსნო, რომელმაც ამიერ-კავკასიის მუშათა მოძრაობის ისტორიაში არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩასწერა, — ამბობს ორთქლმავალ-ვაგონების სარემონტო ქარხნის უპარტიო მუშა, მოწინავე სტახანოველი ამხანაგი ვ. ქაფიანიძე, — ამჟამად ამაყად ატარებს იმის სახელს, ვინც პირველმა აღმართა ამ ქარხანაში რევოლუციური ბრძოლის ჩირაღდანი, — ამხანაგ სტალინის სახელს, რომელსაც ჩვენი ქვეყანა მიჰყავდა და მიჰყავს გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.

წინადადება შემომაქვს კავშირის საბჭოს დეპუტატად წამოყენებულ იქნას ჩვენი საყვარელი სტალინი და ეთხოვოს მას კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის — კიროვის საარჩევნო ოლქში.

ამხ. ქაფიანიძის უკანასკნელ სიტყვებს ჰფარავს მქუხარე, ხანგრძლივი ტაში და „ვაშას" ძახილი.

გარდა ორთქლმავალ-ვაგონების სარემონტო ქარხნისა, დიდი სტალინის კანდიდატურა უმაგალითო ენტუზიაზმითა და აღტაცებით ერთხმად დაასახელეს ტრამვაის მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე, ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკაში, აგრეთვე პროფესორ-ლექტორთა და სტუდენტთა ხუთიათასიანი კოლექტივის კრებაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ასეთივე მქუხარე ოვაციებითა და აღფრთოვანებული „ვაშას" ძახილით შეხვდნენ მუშა-მოსამსახურეები ამხანაგ **სტალინის** ღირსეული თანამებრძოლების, ამხანაგების **მოლოტოვის, კაგანოვიჩის, ვოროშილოვის, ეჟოვის, ბერიას და ბლიუხერის** კანდიდატურათა დასახელებას.

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მუშათა მთელმა კოლექტივმა ერთხმად წამოაყენა სტალინის ერთგული და უახლოესი თანამებრძოლის, საბჭოთა მთავრობის სახელოვანი მეთაურის ვიაჩესლავ მოლოტოვის კანდიდატურა. მქუხარე ტაში და ერთსულოვანი ოვაციები, რასაც ადგილი ჰქონდა კრებაზე, საუკეთესო დადასტურებაა იმისა, თუ როგორ უსაზღვროდ უყვართ და აფასებენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები ამხანაგ მოლოტოვს.

თბილისის რკინიგზის საორთქლმავლო დეპოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე უპარტიო მუშამ ამხ. ერ. ტაბატაძემ შეიტანა წინადადება ამხანაგ ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩის კანდიდატურის წამოყენების შესახებ.

— წინადადება შემომაქვს, — განაცხადა ამხანაგმა ტაბატაძემ, — კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ დიდი სტალინის ურთგულესი თანამებრძოლი, ამხანაგი კაგანოვიჩი, რომელმაც ჩვენი ტრანსპორტი მტკიცე ხელით გამოიყვანა გარღვევიდან, ხოლო ამჟამად ღირსეულად მეთაურობს სოციალიზმის მძიმე ინდუსტრიას.

ყველგან, უაღრესად პასუხსაგებ პოსტებზე, სადაც კი ამხანაგ კაგანოვიჩს პარტია ჰგზავნიდა, იგი ბრწყინვალედ ამართლებდა მასზე დამყარებულ იმედებს. ეს კარგად იციან საბჭოთა კავშირის მშრომელებმა. ამით აიხსნება ის აღტაცებული სიხარული, რომელიც გამოიჩინეს დეპოს მუშებმა და ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტებმა მისი კანდიდატურის დასახელებისას.

უდიდესი ენტუზიაზმით შეხვდნენ თბილისის მაუდის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურენი თავდაცვის რკინის სახალხო კომისრის, საბჭოთა კავშირის პირველი მარშლის, ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის კანდიდატურის დასახელებას.

26-ის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა ყველა მშრომელთა გრძნობა გამოხატა, როცა ერთსულოვნად დაასახელა კანდიდატურა ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვისა, რომელმაც მტკიცე სტალინური ხელით გაანადგურა ხალხის მტრები, გასწმინდა და სწმენდავს ჩვენს ქვეყანას ყოველგვარი ფაშისტური და მისი აგენტურის სიბინძურისაგან.

ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო კრებებზე უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია საქართველოს ბოლშევიკთა ნაცადი ხელმძღვანელის, ლენინ-სტალინის პარტიის ღირსეული შვილის, საუკეთესო სტალინელის, ამხ. ლავრენტი ბერიას კანდიდატურის დასახელებამ.

— ჩვენ უნდა დავასახელოთ, — ამბობს ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ძველი მეტყავე მუშა ამხ. ივანე წითელაური — ჩვენი დიადი სამშობლოს ყველაზე უფრო ღირსეული შვილები, მუშათა კლასის საქმის ერთგულნი, რომლებიც დაუნდობლად იბრძვიან ხალხის უბოროტეს მტრებს.

ვინ გვეგულება ასეთი საქართველოში? — კითხულობს ამხ. წითელაური და თვითონვე უპასუხებს: ეს არის საქართველოს ბოლშევიკთა ნაცადი მეთაური, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი — ამხ. ლავრენტი ბერია, რომლის ხელმძღვანელობითაც საქართველო აყვავდა, გაიფურჩქნა და მოწინავე რესპუბლიკათა რიგში ჩადგა.

ხორცის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა მთელმა კოლექტივმა, ერთხმად დაასახელა საბჭოთა კავშირის მარშლის, შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმიის სახელოვანი სარდლის — ამხ. ბლიუხერის კანდიდატურა.

თამბაქოს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე ერთსულოვნად დაასახელეს საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. ბაქრაძის კანდიდატურა.

აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში დაასახელეს ფაბრიკის საუკეთესო სტახანოველის ამხ. მაზანაშვილის, ხოლო ნავთლუღის სარკინიგზო კვანძის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე — ორდენოსანი მემანქანის ამხ. ა. წიკლაურის კანდიდატურა.

„მქრავის" მე-2 და მე-6 ფაბრიკების მუშა-მოსამსახურეებმა დაასახელეს საბჭოთა კავშირის გმირის, ცნობილი პოლარული მფრინავის, საბჭოთა ქვეყნის ამაყი შევარდნის — ამხ. ვოდოპიანოვის კანდიდატურა.

თბილისმა უკვე დაასახელა თავის პირველი კანდიდატები. უპარტიო მუშები, მოსამსახურენი და ინტელიგენცია, რომლებიც განუყრელად დაკავშირებული არიან კომუნისტებთან, კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებდნენ კომუნიზმისათვის მოწინავე მებრძოლთ, ლენინ-სტალინის პარტიის უსაზღვროდ ერთგულ ადამიანებს, „იმათ ვინც ურყევად მიდის სოციალიზმის ლენინური გზით და ვისაც შესწევს უნარი გაიყოლიოს მასები, მოპოვებული აქვს რა მათი ნდობა; ვინც შეურიგებელია ხალხის მტრების მიმართ, ხალხის, რომელიც სოციალიზმს აშენებს; ვისაც უანგაროდ უყვარს ჩვენი მშვენიერი სამშობლო და ვინც ჩვენი პარტიის ერთგულია; ვინც არ შედრკება საშიშროების დროს; ვინც ცოცხლობს მხოლოდ ზრუნვით მშრომელთა ინტერესებზე, ხალხის ინტერესებზე" („პრავდა").

სსრ კავშირის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ავირჩიოთ მხოლოდ გამობრძმედილი და შეუდრეკელი ხელმძღვანელები, რომლებმაც საქმით დაიმსახურეს მშრომელი ხალხის სრული ნდობა და სიყვარული.

ცნობები

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ საარჩევნო კომისიისაგან

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ საარჩევნო კომისია მოთავსებულია ქ. თბილისში, — შრომის სასახლე, რუსთაველის პროსპექტი № 24 (შესასვლელი გრიბოედოვის ქუჩიდან, № 19), მეორე სართული, ოთახები №№ 86, 87, 88.

ტელეფონები: საქალაქო: 3—74—83, 3—71—46, 5—47—65, შინაგანი კომუტატორი 3—15—20 გამოიძახეთ 45.

სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში დასახელებული არიან ყველაზე ღირსეულნი ღირსეულთა შორის

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები —

ხალხთა ბელადს ამხანაგ სტალინს

ერთსულოვნად გადასწყვიტეს რა თავის წინასაარჩევნო კრებაზე წამოაყენონ დიდი **სტალინის** კანდიდატურა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობისათვის **სტალინის** სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა, რომელნიც შეიკრიბნენ ოთხი ათასი კაცის რაოდენობით, — უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს წერილი ამხანაგ **სტალინის** სახელზე, სადაც ისინი სწერენ:

„ძვირფასო ამხანაგო **სტალინ!** ჩვენთვის არ არის იმაზე უფრო მაღალი პატივი და უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე ის, რომ ხმა მივცეთ ჩვენი საყვარელი ბელადის კანდიდატურას. შენს სახელთან დაკავშირებულია მთელი ჩვენი ცხოვრება, შენს სახელთან დაკავშირებულია ყველა ის დიადი გამარჯვება, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა.

შენ მრავალი წლის წინათ საფუძვლები ჩაუყარე საქართველოს და კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, თავს უყრიდი რა ბოლშევიზმის დიადი დროშის ქვეშ ჩაგრულთ და დაბეჩავებულთ.

დაახლოებით ორმოცი წლის წინათ ჩვენი ქარხნის მუშათა პირველ არალეგალურ წრეებში შენ გვინერგავდი სიძულვილს მეფის თვითმპყრობელობისადმი, გვამზადებდი ბრძოლებისათვის კაპიტალიზმის წინააღმდეგ იერიშის მისატანად.

ყველგან და ყოველ ადგილას, სადაც კი შენ მაშინ არ უნდა ყოფილიყავი, სძლევდი რა უდიდეს სიძნელეებს, შენ აღაგზნებდი მუშათა კლასს კაპიტალის დამხობისათვის საბრძოლველად, ახალი, ბედნიერი ცხოვრებისათვის საბრძოლველად, სადაც არ იქნებოდნენ ექსპლოატატორები, არ იქნებოდნენ მუქთახორები. და რევოლუციური ბრძოლის თესლმა, რომელიც შენ ათეული წლების წინათ დასთესე, საუცხოო ნაყოფი გამოიღო. ეს ნაყოფია მილიონობით საბჭოთა ადამიანების დღევანდელი ბედნიერი ცხოვრება, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ურყევი ძლიერება, ყოველივე ის, რაც მშრომელებს სოციალიზმის გამარჯვებამ მისცა.

ყოველივე ჩვენგანი დიდი სიხარულით უჭერს მხარს ამხანაგ **სტალინის** კანდიდატურას.

სწორედ ამხანაგმა **სტალინმა ლენინთან** ერთად მოაწყო გამარჯვება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომლის ოცი წლისთავს ჩვენ მალე ვიდღესასწაულებთ.

სწორედ ამხანაგმა **სტალინმა** გამოაწრთო დიადი ბოლშევიკური პარტია, აღზარდა უშიშარ ბოლშევიკთა თაობა, რომელთათვის მშრომელებზე ზრუნვა ცხოვრების უმაღლესი ამოცანაა.

სწორედ ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით გაანადგურა პარტიამ ხალხის უბოროტესი მტრები — ფაშიზმის ტროცკისტ-ზინოვიევ-ბუხარინელი აგენტები და სპობს მათ საზიზღარ ნაბოლარებს.

ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი და ღატაკი ქვეყნიდან, როგორიც იგი წინათ იყო, გადაიქცა მძლავრ და უძლეველ სახელმწიფოდ, რომელიც განთავისუფლების გზას უჩვენებს მთელ მშრომელ კაცობრიობას.

სტალინმა საბჭოთა ხალხს მისცა ბედნიერი ცხოვრება, მისცა დიადი კონსტიტუცია — მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია. **სტალინს** მიჰყავს ჩვენი ქვეყანა გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ, **სტალინის** სახელი ჩვენი საბრძოლო დროშაა.

აი რატომ არის, რომ ჩვენს კანდიდატად კავშირის საბჭოს დეპუტატობისათვის ვაყენებთ ჩვენს მშობლიურ მასწავლებელს, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს** და გთხოვთ შენ, ამხანაგო **სტალინ,** დათანხმდე კენჭი იყარო კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე ჩვენი საარჩევნო ოლქიდან.

რომელმა საარჩევნო ოლქმაც არ უნდა გაგგზავნოს შენ, ამხანაგო **სტალინ,** სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში — შენ იქნები მთელი მრავალერიანი საბჭოთა ქვეყნის არჩეული.

საბჭოთა ხალხი, მჭიდროდ დარაზმული **ლენინ-სტალინის** საყვარელი პარტიისა და თავისი დიდი ბელადის ირგვლივ, გასწევს კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ, მშვენიერ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან უძლეველ ბოლშევიკურ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადს, მასწავლებელს, მამას და მეგობარს — დიდ **სტალინს!**".

კრება სტალინის სახელობის ქარხანაში

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის მუშებს დიდიხანია არ ახსოვთ ისეთი მრავალრიცხოვანი კრება, როგორიც გუშინ გაიმართა. ოთხი ათასი ზეინკალი, ხარატი, მჭედელი, მსხმელი — სხვადასხვა სპეციალობის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მოსამსახურეები შეიკრიბნენ საამწყობო საამქროში.

აქ არის ახალგაზრდობა, დავაჟკაცებული საბჭოთა ხელისუფლების წლების განმავლობაში, აღზრდილი ბოლშევიკური პარტიის მიერ.

აქ არიან ჭაღარამოსილი მოხუცებიც, რომელთაც წარსულში განიცადეს კაპიტალისტური ჩაგვრა და რომელთაც საბჭოთა ხელისუფლებამ ახალი ბედნიერი ცხოვრება შეუქმნა.

უაღრესად გულთბილად გაისმის ძველი მუშების სიტყვები, როცა ისინი იხსენებენ, თუ როგორ ხელმძღვანელობდა დიდი **სტალინი** პირველ არალეგალურ რევოლუციურ წრეებს ამ ქარხანაში საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩასახვის გარიჟრაჟზე.

და აი ახლა მუშები იმ ქარხნისა, რომელიც დიდი ბელადის სახელს ატარებს, სოციალიზმის მოპოვებული გამარჯვებების გამო სიამაყით აღვსილნი, მოსულან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისადმი მიძღვნილ კრებაზე. საამწყობო საამქროს უზარმაზარი კორპუსი მორთულია მოწოდების ლოზუნგებით, რომლებიც მიძღვნილია საარჩევნო კამპანიისადმი. მხნედ გაისმის საქარხნო ორკესტრის ჰანგები. საზეიმო განწყობილება სუფევს ამ შესანიშნავ დღეს ქარხანაში.

კრებას ხსნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე მიტროფანე იონას-ძე კუტავა. შემდეგ პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ჩუბინიძე შეკრებილთ აცნობს, რომ დაიწყო საარჩევნო კამპანიის ახალი ეტაპი — სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება.

სიტყვას იღებს სასაქონლო ვაგონების საამქროს უპარტიო ზეინკალი ვლადიმერ არტემის-ძე ქაფიანიძე. იგი ქარხნის ერთერთი მოწინავე სტახანოველია, რომელმაც ოქტომბერში ნორმა 650 პროცენტით შეასრულა. მუშები ტაშით ხვდებიან ამ ადამიანს, რომელსაც ქარხანაში პატივისცემა აქვს მოხვეჭილი. იგი ლაპარაკობს იმაზე, რაც თვითეულ აქ მყოფს სურს სთქვას, — საბჭოთა ხალხის ბედნიერ ცხოვრებაზე, **სტალინზე** — ამ ცხოვრების შემოქმედზე.

— ამხანაგებო! — დაიწყო მან თავისი სიტყვა — საბჭოთა კავშირის მშრომელთა მრავალმილიონიანი მასების ცხოვრებაში ამა წლის 12 დეკემბერი ისტორიულ მნიშვნელობის დღე იქნება, ამ დღის დიდი საბჭოთა კავშირის მუშები, გლეხები და ინტელიგენცია სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე აირჩევენ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს. 12 დეკემბერს — ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა სიხარულის ამ დიადი დღეს — ჩვენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში ავირჩევთ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებს, **ლენინ-სტალინის** პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგულ ადამიანებს.

საქართველოს და ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის ისტორიაში ჩვენმა ქარხანამ ჩასწერა ბოლშევიკური ბრძოლის სახელოვანი ფურცლები. ჩვენს ქარხანაში, — იმ დროს კი რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, დაახლოებით ორმოცი წლის წინათ დიდმა **სტალინმა** პირველად დაანთო რევოლუციური ბრძოლის ცეცხლი. მან პირველმა მოაწყო მარქსისტული არალეგალური რევოლუციური წრეები, იგი პირველი ხელმძღვანელობდა ამ წრეებს და მუშების პოლიტიკურ გამოსვლებსა და დემონსტრაციებს ჩვენს ქარხანაში.

იგი ჩვენ გვინერგავდა ექსპლოატატორებისა და მჩაგვრელებისადმი სიძულვილის გრძნობას. იგი გვასწავლიდა, თუ როგორ უნდა გავერთიანებულიყავით და როგორ უნდა მოგვეწყო ბრძოლა ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების დასამხობად.

ამხანაგმა **სტალინმა** მოაწყო და განამტკიცა პირველი ბოლშევიკური ორგანიზაციები საქართველოსა და კავკასიაში. იგი **ლენინთან** ერთად აშენებდა და ანმტკიცებდა ბოლშევიკთა დიად პარტიას, რომელმაც სოციალიზმის გამარჯვებამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა.

ჩვენი ქარხანა ატარებს იმ ადამიანის სახელს, რომელიც წარმოადგენს მთელი მსოფლიო პროლეტარიატის იმედს, იმ უდიდესი ადამიანის სახელს, რომლის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენ მოვიპოვეთ სიხარულით აღსავსე ბედნიერი ცხოვრება, ჩვენი ქვეყანა გადავაქციეთ მძლავრ უძლეველ სახელმწიფოდ, გავანადგურეთ ტროცკისტი, ზინოვიეველი და ბუხარინელი მოღალატენი, ჯაშუშები და მავნებლები. დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიდის.

მე შემომაქვს წინადადება წამოვაყენოთ ჩვენს კანდიდატად კავშირის საბჭოში ხალხთა დიდი ბელადი — ჩვენი მამა და მასწავლებელი ამხანაგი **სტალინი.**

შემომაქვს წინადადება ვთხოვოთ ამხანაგ **სტალინს** დაგვეთანხმოს კენჭი იყაროს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს წევრობაზე ჩვენს საარჩევნო ოლქში.

გაუმარჯოს დიად საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს, ჩვენს მამას და მასწავლებელს — ამხანაგ **სტალინს!**

მქუხარე ოვაციით, ხანგრძლივი ტაშით უპასუხა კრებამ ამხანაგ ქაფიანიძის წინადადებას. მძლავრი „ვაშა" ჰქუხს საამწყობო საამქროში. ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს". ადამიანები, რომლებითაც გაჭედილია საამქროს ვეებერთელა მოედანი, რომელნიც დგანან დაზგებზე ან აქ შესაკეთებელ ორთქლმავლებზე, მისასალმებელი შეძახილებით, მქუხარე ტაშით იწონებენ წინადადებას — წამოყენებულ იქნას ამხანაგი **სტალინის** კანდიდატურა კავშირის საბჭოს დეპუტატად.

შემდეგ სიტყვას ღებულობს საამწყობო საამქროს სტახანოველი ივანე ალექსის-ძე დევსურაშვილი. იგი მხურვალედ უჭერს მხარს ქაფიანიძის წინადადებას.

— ჩვენთვის არ არსებობს უფრო დიდი პატივი, — ამბობს იგი, — ვიდრე ხმის მიცემა ხალხთა დიდი ბელადისათვის, ჩვენი საყვარელი მამისა და მასწავლებლის — ამხანაგ **სტალინისათვის.**

სასიხარულო მღელვარებით აღსავსეა საქვაბე საამქროს ოსტატის ივანე კუზმას-ძე სელიხოვის სიტყვა.

— ჩვენ ყველანი აქტიურად ვემზადებით უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის, — განაცხადა მან, — არჩევნების დღე სასიხარულო დღე იქნება თვითეული ჩვენი მოქალაქისთვის და მთელი ჩვენი ქვეყნისთვის. სახელმწიფო მართვა-გამგეობის უზენაეს ორგანოში ჩვენ ავირჩევთ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებს. მთელი ჩვენი ხალხი არჩევნების დღეს კვლავ ცხადჰყოფს თავის უსაზღვრო ერთგულებას ბოლშევიკური პარტიისა და დიდი **სტალინისადმი,** რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ყველა ჩვენი გამარჯვება. მე მხარს ვუჭერ წინადადებას ამხანაგ **სტალინის** კანდიდატურის წამოყენების შესახებ. ჩვენი ქარხნის 5-ათასიანი კოლექტივი სთხოვს ამხანაგ **სტალინს** დათანხმდეს კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში. ჩვენ პირობას ვიძლევით კიდევ უფრო ენერგიულად ვიმუშაოთ სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, კიდევ უფრო ავამაღლოთ ჩვენი სიფხიზლე, რათა ბოლომდე მოვსპოთ ხალხის ყველა მტერი.

შემდეგ გამოვიდნენ სამჭედლო საამქროს სტახანოველები კონსტანტინე ზაქარიას-ძე შინჯიკაშვილი, ბაგრატ სადაგაშვილი და ქარხნის დირექტორი ბ. არუთინოვი. მათ მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამხანაგ **სტალინის** კანდიდატურას და პირობა დასდეს, რომ სტახანოვური მუშაობით გაამართლებენ მის ნდობას.

ხანგრძლივი მქუხარე ტაშის გრიალში კრებამ მიიღო დადგენილება, რომელშიც ასახელებს ამხანაგ **სტალინის** კანდიდატურას კავშირის საბჭოს დეპუტატად. ქარხნის კოლექტივმა მიმართა ამხანაგ **სტალინს** წერილით, რომელშიც სთხოვს მას დათანხმდეს კენჭი იყაროს დეპუტატობაზე თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში. ამ დადგენილებას ერთსულოვნად მისცა ხმა ყველა დამსწრემ. „ინტერნაციონალის" სიმღერით, დიდი **სტალინის** პატივსაცემ მისალმებათა შეძახილებით დამთავრდა ეს კრება, რომელიც წარმოადგენდა სოციალისტური სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი **სტალინისადმი** ქარხნის კოლექტივის სიყვარულისა და ერთგულების წარმტაც დემონსტრაციას.

სტალინი — ჩვენი დროშაა

გუშინ საღამოს 6 საათზე შესდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის, მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრება, მიძღვნილი კანდიდატურის წამოყენებისადმი სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში.

უკვე 5 საათისათვის სტუდენტებმა იწყეს თავმოყრა უნივერსიტეტის ეზოში.

უნივერსიტეტის შენობის შესავალთან ელვარებს ალისფერი ტილო: „გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს — დიდ სტალინს!"

5.000 კაცი შეიკრიბა აქ, რათა განიხილოს და დაასახელოს კანდიდატურა სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივნის ამხ. მირცხულავას გამოსვლის შემდეგ სიტყვას იღებს უპარტიო პროფესორი — ორდენოსანი ამხ. ა. ჯანელიძე.

— დღეს, როცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავის მიჯნაზე ჩვენ სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე ვემზადებით სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის, თვითეულ ჩვენგანს შეგნებული აქვს ახლანდელი მომენტის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა. ვინ უნდა ავირჩიოთ ჩვენ? ის, ვისაც ჩვენ მივყავდით და მივყავართ გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ, ის, ვისი ხელმძღვანელობითაც ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ააშენეს სოციალიზმის შენობა, ვინც შეჰქმნა ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურღვევი ძმური კავშირი, ვინც არის მშრომელთა საუკეთესო მეგობარი, ვინც ჩვენს ქვეყანაში ბედნიერი სასიხარულო ცხოვრება შეჰქმნა, ამ ადამიანის სახელი მთელი მშრომელი კაცობრიობისათვის ძვირფასი, საყვარელი სახელია — ეს არის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი! სტალინი ჩვენი დროშაა!

პროფესორ ჯანელიძის ამ სიტყვებს ჰფარავს მქუხარე და ხანგრძლივი ტაში და შეძახილები „ვაშა", „ურა".

— თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა, მასწავლებელთა, სტუდენტთა, მუშათა და მოსამსახურეთა სახელით, — განაგრძობს ორატორი, — მე წინადადებას ვიძლევი — წამოყენებულ იქნას სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინის** კანდიდატურა და ეთხოვოს მას დათანხმდეს კენჭი იყაროს ქალაქ თბილისის კიროვის საარჩევნო ოლქში.

სიტყვას იღებს სტუდენტი ქალი ს. ჩხაიძე.

იგი აღტაცებით ლაპარაკობს ეპოქის დიდ ადამიანზე, რომლის წინამძღოლობით ჩვენი ქვეყანა მძლავრ და უძლეველ სახელმწიფოდ იქცა. და ყოველთვის, როცა იგი ახსენებს მახლობელ, მშობლიურ, საყვარელ სახელს — **სტალინის** სახელს, რამდენიმე ათასი კაცი მქუხარედ უკრავს ტაშს. გამოხატავს რა თავის ერთგულებას **ლენინ-სტალინის** პარტიისადმი.

სიტყვა ეძლევა პროფესორ შ. ნუცუბიძეს.

— ჩვენ, — ამბობს იგი, — ვასახელებთ იმ ადამიანის კანდიდატურას, რომელიც წარმოადგენს მშრომელთა გზის მანათობელს, მათ იმედს, მათ დროშას. გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს, ჩვენს მშობლიურს, საყვარელს — დიდ **სტალინს!**

წინასაარჩევნო კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხუთიათასიანი კოლექტივი სთხოვს ამხანაგ **სტალინს** დათანხმდეს კენჭი იყაროს ქალაქ თბილისის კიროვის საარჩევნო ოლქში.

არ არსებობს ჩვენთვის უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე ხმის მიცემა ჩვენი ბელადის — დიდი **სტალინის** კანდიდატურისათვის.

გაუმარჯოს ახალი კონსტიტუციის შემოქმედს, სოციალისტური მშენებლობის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორს, ჩვენს მშობლიურს, საყვარელ მამას — დიდ **სტალინს!**".

ტყესავით აღიმართა ხელები რეზოლუციისათვის ხმის მისაცემად. კვლავ გაისმის მქუხარე ტაში იმ ადამიანის პატივსაცემად, რომლის სახელი ძვირფასი და მახლობელია თვითეული მშრომელისათვის — დიდი **სტალინის** პატივსაცემად.

* * *

მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივის კრებაზე ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკაში, სადაც დაახლოებით 40 წლის წინათ ამხანაგმა **სტალინმა** მოაწყო მუშათა არალეგალური რევოლუციური წრეები, ძველმა მუშებმა ამხ. **ზალიევმა, ბედიაშვილმა** და სხვებმა შეიტანეს წინადადება უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ **სტალინის** დასახელების შესახებ.

„დიდმა **სტალინმა,** — ამბობდნენ გამოსვლებში მუშები, — პირველმა გვასწავლა ჩვენ მრავალი წლის წინათ ბრძოლის წარმოება ექსპლოატატორთა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ. თავისი ბრძნული ხელმძღვანელობით მან ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის გამარჯვებამდე მიიყვანა. უზენაესი საბჭოს არჩევნების დროს უდიდესი სიხარულით მივცემთ ჩვენს ხმას იმას, ვისაც უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს სასიხარულო ბედნიერ ცხოვრებას".

უდიდესი აღფრთოვანებით, მქუხარე ოვაციით ღებულობს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების მთელი კოლექტივი წინადადებას უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დიდი **სტალინის** წამოყენების შესახებ და მიმართავს ამხანაგ **სტალინს** თხოვნით მისცეს თანხმობა.

* * *

თბილისის ტრამვაის პირველი ცვლის **მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები,** ათასამდე კაცი, მოვიდნენ კრებაზე, რომელიც მიძღვნილი იყო სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენებისადმი.

უპარტიო ინჟინერს ამხ. ჰანტურიას შემოაქვს წინადადება უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ **სტალინის** დასახელების შესახებ. ეს წინადადება მთელი კრების უდიდეს ენტუზიაზმს იწვევს. გამოსულნი — ორდენოსანი სტახანოველი **სეფერთელაძე,** სტახანოველ ზეინკალი **ულიხანოვი,** ვატმანი **არუთინოვი, მოდებაძე** და სხვ., მხურვალედ უერთდებიან ამხ. ჰანტურიას წინადადებას.

„უდიდესი სიხარული და პატივია ხმა მისცე ჩვენი ბედნიერი ცხოვრების შემოქმედს, დიადი ახალი საბჭოთა კონსტიტუციის შემოქმედს, — ამბობენ ისინი თავიანთ გამოსვლაში — ჩვენ ვთხოვთ ჩვენს დიდ ბელადს დათანხმდეს კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში და პირობას ვაძლევთ გავამართლოთ მისი ნდობა მუშაობის ახალი სტახანოვური რეკორდებით რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებით ხალხის საზიზღარ მტერთა ოინებისადმი".

კრება ოვაციის გრიალში და „ვაშას" შეძახილებში ერთხმად ღებულობს წინადადებას უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დიდი **სტალინის** დასახელების შესახებ და მიმართავს მას თხოვნით დათანხმდეს კენჭი იყაროს თბილისის — სტალინის საარჩევნო ოლქში.

ჩვენი კანდიდატი არის საბჭოთა მთავრობის მეთაური ვ. მ. მოლოტოვი

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მუშათა, ინჟინერთა და მოსამსახურეთა კრებამ, რომელსაც 1.000 კაცი დაესწრო, სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში კენჭისსაყრელად ქალაქ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქიდან წამოაყენა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის** კანდიდატურა.

გამოსულმა ამხანაგებმა ს. **პროგინმა, მერაბიშვილმა, მუსხელიძემ, ხავთასმა** და სხვ., ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ჩვენი ხალხი კარგად იცნობს ამხანაგ **მოლოტოვს** და უსაზღვროდ ენდობა მას.

ლენინის და სტალინის ერთგული მოწაფე, ამხანაგი **მოლოტოვი** ჩვენი სამშობლოს ერთერთი საუკეთესო შვილია. **ლენინსა და სტალინთან** ერთად ის ებრძოდა ყველას, ვინც სცილდებოდა ბოლშევიზმს, ებრძოდა პარტიისა და ხალხის ყველა მტერს.

ამხანაგი **მოლოტოვი** აღჭურვილია საბჭოთა კავშირის ხალხთა ნდობითა და სიყვარულით, რომელნიც დიდად აფასებენ მის ბოლშევიკურ საქმიანობას, მის უსაზღვრო თავდადებას ჩვენი მშვენიერი სამშობლოსათვის და **ლენინ-სტალინის** დიადი საქმისათვის, მის ზრუნვას მშრომელთა ინტერესებისათვის, ხალხის ინტერესებისათვის.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის მაღალ პოსტზე ამხანაგმა **მოლოტოვმა** დაგვანახვა, რომ იგი გამოჩენილი საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეა, რომელსაც ურყევად მიჰყავს მასები ლენინ-სტალინის გზით. ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა უდიდესი მუშაობა გასწია ამხანაგმა **მოლოტოვმა** და ეწევა სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა უდიდესი მუშაობა გასწია ამხანაგმა **მოლოტოვმა** და ეწევა ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

— ჩვენ დარწმუნებული ვართ, — აცხადებს ავტოსარემონტო ქარხნის მუშების კრება თავის გადაწყვეტილებაში, — რომ ვაყენებთ რა ამხანაგ **მოლოტოვის** კანდიდატურას, ჩვენ გამოვხატავთ მილიონების გრძნობას, ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელის გრძნობებს.

მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს ამხანაგ **მოლოტოვს,** როგორც კომუნიზმის საქმისათვის უშიშარ მებრძოლს, როგორც **ლენინ-სტალინის** პარტიის დიადი საქმისათვის გამოწრთობილ მებრძოლს.

ვთხოვთ ამხანაგ **მოლოტოვს** დათანხმდეს კენჭი იყაროს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზადება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის

ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის მშრომელებმა განსაკუთრებული აღფრთოვანებითა და ენთუზიაზმით წამოაყენეს თავისი პირველი კანდიდატები

ვასახელებთ სტალინური სახალხო კომისრის ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის კანდიდატურას

თბილისის დეპოს მუშათა, ინჟინერთა და მოსამსახურეთა კრების რეზოლუცია.

დიდი აღფრთოვანებით ჩაიარა გუშინ ამიერკავკასიის რკინიგზის **თბილისის დეპოს** მუშათა, ინჟინერთა და მოსამსახურეთა კრებამ, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატურის განხილვის საკითხს.

დეპოს კოლექტივმა, რომელშიც 900-ზე მეტი კაცია, ერთსულოვნად გადასწყვიტა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენოს სახელოვანი სტალინური სახალხო კომისარი ამხ. **ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი.**

მუშები თავის გამოსვლებში ამბობდნენ:

— კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩვენ ვასახელებთ **ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩს** იმიტომ, რომ ვიცნობთ მას, როგორც მტკიცე ბოლშევიკს, ლენინ-სტალინის საქმის, მუშათა კლასის საქმის თავგამოდებით ერთგულს.

ამხანაგი **კაგანოვიჩი** მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იბრძვის ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში ხალხის ბედნიერებისათვის, სოციალიზმის ქვეყნის აყვავებისათვის, მისი ძლიერების განმტკიცებისათვის. ჩვენი სახალხო მეურნეობის უაღრესად საპასუხისმგებლო უბნებზე იგი ყოველთვის ბრწყინვალედ ასრულებდა და ასრულებს ყველა დაკისრებულ დავალებას ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით.

იგი აწარმოებდა და აწარმოებს ბრძოლას ჩვენი პარტიის სიწმინდისათვის, სტალინური შეურიგებლობით ანადგურებს სამშობლოს მტრებს, მუშათა კლასის საქმის საზიზღარ მოღალატეებს.

მთელი საბჭოთა ქვეყანა კარგად იცნობს **ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩს**, როგორც დიდი **სტალინის** ერთგულ მოწაფესა და თანამებრძოლს, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს შესანიშნავ მოღვაწეს, როგორც გამოჩენილ სტალინურ სახკომს.

სიამაყით ვასახელებთ ჩვენს კანდიდატად სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში ჩვენი სამშობლოს და ლენინურ-სტალინური პარტიის ერთგულ შვილს **ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩს.**

ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენი საარჩევნო ოლქის ყველა მშრომელს მხარი დაუჭიროს ჩვენს წინადადებას, ხოლო **ლაზარე მოსეს-ძეს** მივმართავთ თხოვნით დასთანხმდეს კენჭი იყაროს ქალაქ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში.

უზენაეს საბჭოში კანდიდატად ვასახელებთ შეუდრეკელ ბოლშევიკს ნ. ი. ეჟოვს

გუშინ 26 კომუნარის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში უდიდესი აღფრთოვანებით ჩატარდა მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეების წინასაარჩევნო კრება.

ქარხნის კოლექტივი დაძაბული ყურადღებით ისმენდა უპარტიო ოსტატის, 45 წლის საწარმოო სტაჟის მქონე ძველი მუშის დიმიტრი თედორეს-ძე მაქსიმოვის სიტყვას.

მე ვაყენებ ნიკოლოზ ივანეს-ძე **ეჟოვის** კანდიდატურას და მხარს ვუჭერ ამ კანდიდატურას. ამხანაგი ეჟოვი მუშაა, იგი გამოსულია პროლეტარული წრიდან. პარტიამ ამხანაგი ეჟოვი უაღრესად პასუხსაგებ უბანზე დააყენა, მიანდო რა მას შინსახკომის ორგანოების ხელმძღვანელობა. ამხანაგი ეჟოვი ბრწყინვალედ ასრულებს საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესთა დაცვის საქმეს, რაც მას აქვს დაკისრებული. ჩვენ ვიცნობთ და გვიყვარს ამხანაგი ეჟოვი იმისთვის, რომ იგი დაუნდობლად ანადგურებს მტრებს, იმისთვის, რომ ის არის პარტიისა და ხალხის ერთგული შვილი, იმისთვის, რომ იგი შეუდრეკლად და მედგრად დგას თავის საგუშაგოზე.

მარგარიტა ხუდადიანმა, სახარატო საამქროს სტახანოველმა, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრმა, მშვენივრად გამოხატა მთელი ქარხნის კოლექტივის გრძნობები, როდესაც ამხანაგი ეჟოვის შესახებ სთქვა:

— მე მხარს ვუჭერ ამ შესანიშნავ კანდიდატურას იმიტომ, რომ ამხანაგი ეჟოვი, ამხანაგ **სტალინის** ერთგული მოწაფე, იბრძვის ხალხის ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრებისთვის და იცავს საბჭოთა ხალხს მტრების ვერაგული ზრახვებისაგან. სიამაყის გრძნობით ივსება გული, როდესაც ფიქრობ, რომ სწორედ ჩვენმა ქარხანამ პირველმა წამოაყენა ამხანაგ ეჟოვის კანდიდატურა.

ტრიბუნაზე ადის ქარხნის წარჩინებული ადამიანი, ძველი მუშა, ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ორდენოსანი ალექსი პეტრეს-ძე ზაკომოლდინი.

ძველი მუშა, რომელმაც წარსულში თავის თავზე გამოსცადა ჩაგვრა კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან, რომელმაც მთელი თავისი შრომა, გამოცდილება და ცოდნა მოახმარა ახალ და საყვარელ საქმეს თავისი ქარხნის რეკონსტრუქციისას, ამბობს:

— წინადადება შემომაქვს ვთხოვოთ ნიკოლოზ ივანეს-ძეს დათანხმდეს კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში.

მხურვალე ტაშით შეხვდნენ შეკრებილნი ზაკომოლდინის წინადადებას.

სიტყვას თხოულობს ამწყობი საამქროს უფროსი ამხ. ქორხნელიძე. იგი ლაპარაკობს ამხანაგი ეჟოვის უდიდეს დამსახურებათა შესახებ.

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერთა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით დაადგინა:

„სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში კენჭისსაყრელად ქალაქ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქიდან წამოყენებულ იქნას სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, სახელმწიფო უშიშროების გენერალური კომისრის, დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფის, კომუნიზმის საქმისთვის მედგარი და უშიშარი მებრძოლის — ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვის კანდიდატურა“.

ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის მუშებმა წამოაყენეს ამხანაგ ლ. ბერიას კანდიდატურა

ოთხი ათასი ამომრჩეველი შეიკრიბა გუშინ ფეხსაცმლის ახალ ფაბრიკაში, რათა დაესახელებინათ და განეხილათ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატურა თბილისის—სტალინის საარჩევნო ოლქიდან.

პირველმა აიღო სიტყვა კვალიფიციურმა მუშამ ამხ. ი. წითელაურმა.

— პარტიის, საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა უმაგალითოდ გაიფურჩქნა,—ამბობს ამხ. წითელაური. ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე ურღვევია სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა გაფურჩქვნისათვის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ხალხთა ძმური თანამეგობრობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში დიდი როლი ითამაშა პარტიის ერთგულმა შვილმა ამხ. ლ. ბერიამ. შემომაქვს წინადადება წამოვაყენოთ ამხანაგ ბერიას კანდიდატურა კავშირის საბჭოს დეპუტატად.

დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ფაბრიკის მუშები, მუშა-ქალები, ინჟინრები და მოსამსახურეები ამხ. წითელაურის წინადადებას.

ამხ. კირაკოზოვი, კარაპეტიანი, სოლოვიოვა, მამულოვი, პეტროსიანი და გვარიძე თავის გამოსვლებში მხურვალედ მხარს უჭერდნენ რა ამხ. წითელაურის წინადადებას, ლაპარაკობდნენ სოციალისტური მშენებლობის იმ უდიდეს წარმატებებზე, რომლებიც მიღწეულია საქართველოში.

— ეს გამარჯვებანი,—ამბობდნენ თავის გამოსვლებში ამხანაგები, — რომლებიც მიღწეულია საქართველოს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, სოციალისტური კულტურის განვითარებაში, წარმოადგენენ ხელმძღვანელობის სტალინური მეთოდების გამარჯვებებს.

კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩვენ ვასახელებთ ამხანაგ **ლავრენტი ბერიას,** რომელიც თავის მუშაობაში განუხრელად ახორციელებს ხელმძღვანელობის სტალინურ მეთოდებს, ჩვენი დიადი პარტიის ერთგულ შვილს, რომელსაც შესწევს უნარი ბოლშევიკური ოსტატობით დარაზმოს კოლექტივი და წინ გაუძღვეს მას **ლენინ-სტალინის** პარტიის საქმისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებისათვის საბრძოლველად.

ჩვენ ვასახელებთ ამხანაგ ლავრენტი ბერიას კანდიდატურას, ვისი შეურიგებლობა და სიძულვილი ხალხის მტრებისადმი ჩვენში ზრდის მახვილ რევოლუციურ სიფხიზლეს ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშების, მათი მენშევიკური, კონტრრევოლუციური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ნაბოლარების საზიზღარი ხრიკებისადმი.

ბოლშევიკურმა ხელმძღვანელობამ, რომელსაც ამხანაგი ლავრენტი ბერია ახორციელებს, გამოიწვია სოციალიზმის მშენებელთა იმ ახალგაზრდა სტალინური კადრების ზრდა და დაწინაურება, რომელნიც ბეჯითად და დაძაბულად მუშაობენ საქართველოს მრეწველობისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეზე.

თბილისში—ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში მრავალი წლის მანძილზე პირველად ჩატარდა ამხანაგ ბერიას ხელმძღვანელობით უდიდესი სამუშაოები ქალაქის სოციალისტურად გარდაქმნისათვის; თბილისი დგება საბჭოთა კავშირის მოწინავე ქალაქთა წყებაში და ჩვენ ამით სამართლიანად ვამაყობთ!

ჩვენ ვთხოვთ ამხანაგ ლავრენტი ბერიას თანხმობას — კენჭი იყაროს ჩვენს ოლქში, ვასახელებთ რა მის კანდიდატურას კავშირის საბჭოს დეპუტატად, როგორც ჩვენი სამშობლოს ერთგული და თავდადებული შვილის კანდიდატურას.

* * *

წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს კიროვის სახელობის ინდუსტრიულ ინსტიტუტში შეიკრიბა 2.400 კაცი: პროფესორები, მასწავლებლები, სტუდენტები, ადმინისტრატიულ-ტექნიკური მუშაკები.

კრებაზე გამოვიდნენ პროფ. **გ. მუხაძე,** დოცენტი **ს. ჭრელიშვილი,** სტუდენტები **ი. მალანია** და **ვ. კრასინი.** კრებამ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთხმად წამოაყენა ამხანაგი **ლავრენტი ბერია.**

* * *

კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე გამოვიდნენ ამხ. **ხვედელიანი, ბელიაკოვი, შაუტიძე, ნოსევიჩი, კვირიკაძე** და **კულცევი.** ყველამ მხურვალედ დაუჭირა მხარი ამხ. ხვედელიანის წინადადებას, და ქარხნის კოლექტივის სახელით წამოაყენა ამხ. **ლ. ბერიას** კანდიდატურა.

ამხანაგ სამოილოვის მიერ შეტანილ რეზოლუციას რომელშიც ქარხნის მუშები სთხოვენ ამხ. **ლ. ბერიას** კენჭი იყაროს ქ. თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში, ყველა შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

რეზოლუცია მიღებულ იქნა ერთხმად.

მკერავებმა წამოაყენეს საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ვოდოპიანოვის კანდიდატურა

დამთავრდა დღის ცვლა. მაგრამ დღეს №2 სამკერვალო ფაბრიკის მუშები, მუშა-ქალები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკოსები შინ არ მიიჩქარიან. ფართო ნაკადად მიიმართებიან ისინი ფაბრიკის ეზოში განიერ სასადილოსაკენ. 900-მდე კაცი შეიკრიბა სასადილოში. ბევრი მოუთმენლად ელოდა ამ დღეს, როცა წინასაარჩევნო კრებაზე ისინი წამოაყენებენ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს.

ვის წამოაყენებს, ვის დაიცავს, ვის მისცემს ხმას ფაბრიკის ათასკაციანი კოლექტივი?

წინასაარჩევნო კრებამ დიდი აღფრთოვანებით ჩაიარა.

წინადადებისათვის სიტყვას პირველი იღებს უპარტიო მუშა მჭრელი, ფაბრიკის საუკეთესო სტახანოველი **ა. ნარინიანი.**

— ამხანაგებო, მე შემომაქვს წინადადება დეპუტატობის კანდიდატად წამოვაყენოთ დიდი **სტალინის** ერთერთი მამაცი აღზრდილი, საბჭოთა კავშირის უშიშარი გმირი, ჩვენი სამშობლოს ერთერთი საუკეთესო შვილი, რომელმაც ყველა მშრომელის სიყვარული დაიმსახურა — პოლარული მფრინავი ამხ. ვოდოპიანოვი. მე იმედი მაქვს, რომ არა მარტო ჩვენი კოლექტივი, არამედ ჩვენი ოლქის ყველა ამომრჩეველიც, მთელი ხალხი მხარს დაუჭერს ამ კანდიდატურას.

ამხ. ვოდოპიანოვის სახელს ფაბრიკის კოლექტივი ენტუზიაზმით შეხვდა.

ფაბრიკის მუშებმა, მუშა-ქალებმა და მოსამსახურეებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი საბჭოთა კავშირის გმირს, მამაც მფრინავს, **ლენინ-სტალინის** პარტიის მიერ, საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღზრდილს, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საყვარელ ადამიანს.

— მე მხარს ვუჭერ ამხ. ვოდოპიანოვის კანდიდატურას, — ამბობს მუშა-ქალი სტახანოველი **გაგნიძე.**

— ჩვენ გვიყვარს და ვაფასებთ ჩვენს მამაც მფრინავებს, რომელნიც ყოველ წუთში მზად არიან შესწირონ თავისი გმირული სიცოცხლე ჩვენი სამშობლოს დაცვას, ჩვენი ბედნიერი და საამური ცხოვრების დაცვას, რომელიც მოგვაპოვებინა პარტიამ, ჩვენმა საყვარელმა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა.**

ზედი-ზედ გამოდიან ფაბრიკის მუშები და მუშა-ქალები და, მხურვალედ მხარს უჭერენ რა ამხ. ვოდოპიანოვის კანდიდატურას, ლაპარაკობენ მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულ სტალინურ კონსტიტუციაზე და სოციალისტური ქვეყნის ახალ საარჩევნო კანონზე.

უსაზღვრო სიამაყისა და სიხარულის გრძნობა ძვირფასი სამშობლოსათვის, პარტიისადმი, ხალხთა დიდი ბელადის, ამხანაგ **სტალინისადმი** ერთგულების გრძნობა გაისმის ყოველ გამოსვლაში.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „№2 სამკერვალო ფაბრიკის მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივი ერთხმად ასახელებს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩვენი დიადი სამშობლოს ამაყ შევარდენს, საბჭოთა კავშირის გმირს ამხ. ვოდოპიანოვს. თავისი სიმამაცით, გმირობით, ერთგულებით მან მოიხვეჭა სახელი და საბჭოთა ხალხის სიყვარული. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვასახელებთ რა ამხ. ვოდოპიანოვის კანდიდატურას, გამოვთქვამთ ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი ამომრჩევლის აზრს“.

ეთერ მაზანაშვილი—უზენაეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში გუშინ დიდი დღესასწაული იყო.

წინასაარჩევნო კრებაზე შეკრებილმა მუშა-ქალებმა, მუშებმა, ინჟინრებმა და მოსამსახურეებმა უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს მუშა-ქალი, ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანი ეთერ ნიკოლოზის-ასული მაზანაშვილი.

ეს კანდიდატურა დაასახელა უპარტიო მუშა-ქალმა, სტახანოველმა მქსოველმა აგრაფინა პიჟინაძემ. მან სთქვა:

— ჩვენ უზენაეს საბჭოში ვირჩევთ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებს. ჩვენ ვირჩევთ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს. მათთან ერთად უზენაეს საბჭოში ჩვენ ვირჩევთ პარტიის მიერ აღზრდილ, სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგულ მოწინავე მუშებსა და მუშა-ქალებს. ეთერ მაზანაშვილის ცხოვრება დაკავშირებულია ჩვენს ფაბრიკასთან, იგი გახდა მოწინავე მუშა-ქალი, საუკეთესო მქსოველი, შესანიშნავი საზოგადოებრივი მუშაკი. იგი კომკავშირელი იყო, შემდეგ პარტიის წევრი გახდა. მას მიანდვეს ჩვენი ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივნის საპასუხისმგებლო პოსტი. მან სავსებით გაამართლა პარტიის ნდობა. იგი მთელი საფაბრიკო კოლექტივის სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. აი რატომ ვაყენებ მე ეთერ მაზანაშვილის კანდიდატურას როგორც ჩვენი ფაბრიკის საუკეთესო კანდიდატურას.

აგრაფინა პიჟინაძის წინადადებას ერთსულოვანი, მხურვალე მოწონებით შეხვდნენ.

სამღებრო საამქროს ოსტატმა ამხ. მიკირტუმოვმა განაცხადა:

— მე ყოველნაირად მივესალმები და მხარს ვუჭერ ეთერ მაზანაშვილის კანდიდატურას. იგი მოწინავე მუშა-ქალია, მოწინავე კომუნისტი. იგი იქნება თავის ამომრჩეველთა ღირსეული წარმომადგენელი უზენაეს საბჭოში და ამიტომ მე ვუერთდები აგრაფინა პიჟინაძის წინადადებას და მხარს ვუჭერ მაზანაშვილის კანდიდატურას.

მოსამზადებელი საამქროს ინსტრუქტორმა ამხ. მერაბიშვილმა თავის სიტყვაში მხურვალედ ილაპარაკა ეთერ მაზანაშვილზე.

ჩვენი ფაბრიკის არსებობის პირველ დღიდანვე ეთერ მაზანაშვილმა თავი გამოიჩინა, როგორც საუცხოო მუშა-ქალმა. იგი ეკუთვნოდა იმათ რიცხვს, ვინც ფაბრიკაში სტახანოვური მოძრაობის ინიციატორები იყვნენ. მას ახასიათებს ენერგია, გულისხმიერება, დიდი ორგანიზატორული ნიჭი. იგი უზენაესი საბჭოს კარგი დეპუტატი იქნება. მის კანდიდატურას მხარს ვუჭერ და ხმას ვაძლევ მას.

კრებაზე გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. იარალოვი, გოლოსკოკოვა, ფედოროვსკაია, ხაშილაძე. ყველა იმათ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ეთერ მაზანაშვილის კანდიდატურას.

კრებამ დაადგინა:

„სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის კიროვის საარჩევნო ოლქიდან წამოყენებულ იქნას ეთერ ნიკოლოზის-ასული მაზანაშვილი“.

თბილისის რკინიგზის სადგურზე მგზავრ გლეხებთან სისტემატურად იმართება საუბრები სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების ირგვლივ.

სურათზე: თბილისის სადგურის გაერთიანებული ადგილკომის თავმჯდომარე ამხ. ს. კიკნაძე უკითხავს გლეხებს არჩევნების დებულებას.

ფოტო „სოიუზფოტოს“ საქ. განყოფილებისა.

ურყევია მასების ნდობა ლენინ-სტალინის პარტიისადმი

საარჩევნო კამპანია დღითიდღე სულ უფროდაუფრო ფართოდ ჩაღდება, აბამს რა ადამიანთა ახალ უზარმაზარ მასებს მჩქეფარე პოლიტიკური ცხოვრების ორბიტში. მუშების, კოლმეურნეების, მოსამსახურეების, ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კრებები მიმდინარეობს მაღალი აღფრთოვანებისა და მხურვალე ენტუზიაზმის ვითარებაში. ოც ოქტომბერს მოსკოვისა და ლენინგრადის უდიდესი საქარხნო კოლექტივების წინასაარჩევნო კრებებზე სასურველ კანდიდატებად წამოყენებულ იქნენ ამხანაგ სტალინის, მოლოტოვის, კალინინის, ჟდანოვის, პიჩუგინას და სმეტანინის სახელები. გუშინ კანდიდატთა სია მნიშვნელოვნად შეივსო: დაასახელეს ამხანაგები ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ეჟოვი, მიქოიანი, ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირის გმირი მოლოკოვი, სტახანოველი ფეიქარი-ქალი სიმონჟენკოვა, უპარტიო კოლმეურნე სიდოროვი.

გუშინვე შესდგა მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრებათა წარმომადგენლების პირველი საოლქო წინასაარჩევნო თათბირები ქალაქ მოსკოვის სტალინის, მოლოტოვისა და პროლეტარსკის საარჩევნო ოლქებში და ქალაქ ლენინგრადის ვოლოდარსკის, კრასნოგვარდეისკის ოლქებში. ამგვარად, დაიწყო ახალი ფაზა საარჩევნო კამპანიის განვითარებაში.

საოლქო წინასაარჩევნო თათბირების მონაწილეთა შემადგენლობას მუშათა კრებებზე დიდი გულმოდგინებით ირჩევდნენ, თვითეული კანდიდატურის ირგვლივ დაწვრილებით მსჯელობდნენ. გაგზავნილ იქნენ ყველაზე ავტორიტეტიანი, ყველაზე პოპულარული ადამიანები — კომუნისტები და უპარტიოები, რომელთაც უნარი შესწევთ გამოხატონ ხალხის ნება-სურვილი, მუშათა კოლექტივების ნება-სურვილი.

წინასაარჩევნო კრებები ოლქებში განსაკუთრებული აღფრთოვანებით ჩატარდა. რა მგზნებარე პატრიოტული სიტყვები გაისმოდა! რა ოვაციებით ხვდებოდნენ შეკრებილნი ძვირფასი, ყველასათვის მახლობელი, ყველასათვის მხურვალედ საყვარელი ამხანაგ სტალინის სახელის ყოველ ხსენებას!

შეკრებილნი თავის სიტყვებში კოლექტიურად ხატავდნენ დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულის პორტრეტს, და მისი სახე როგორც პოლიტიკური მებრძოლისა, როგორც სახელმწიფო ადამიანისა წარმოსდგებოდა ყველას წინაშე—გარკვეული, მკაფიო, მართალი.

საოლქო კრებებმა თავის მხრივ აირჩიეს რწმუნებული პირები ოლქის საარჩევნო უბნების რიცხვის მიხედვით, და ამ პირებს დაევალათ დაიცვან დასახელებული კანდიდატი ყველგან და ყოველ ადგილას, ყველა წინასაარჩევნო კრებასა და მიტინგზე.

არჩეულ რწმუნებულ პირთა შორის ცოტა როდია უპარტიო აქტივისტების რიცხვი, და ეს უპარტიო ადამიანები ბოლშევიკურ სიმართლეს შეიტანენ მასებში, ვინაიდან ჩვენი პარტიის სიმართლე—ეს ხალხის სიმართლეა, ვინაიდან ლენინურ-სტალინური პარტია — ეს საბჭოთა ხალხის ავანგარდია!

ჩვენი პარტიის ხელმძღვანელებს ისევ და ისევ ასახელებდნენ, როგორც უზენაესი საბჭოს დეპუტატობის უაღრესად სასურველ კანდიდატებს არა მარტო ოლქში, არამედ მუშების, კოლმეურნეების, მოსამსახურეების, ინტელიგენციის თვითეულ კრებაზე. და ეს გასაგებია, ვინაიდან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა სახელები, ყველაზე ღირსეული და ყველაზე სახელოვანი ბოლშევიკების სახელები — მთელ ხალხს პირზე აკერია.

უხტომსკის საარჩევნო ოლქის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ამხანაგმა ზაბროდინმა, თავის სიტყვაში წინასაარჩევნო კრებაზე, სადაც კოლმეურნენი პეროვსკის ვაგონსარემონტო ქარხნის მუშებთან ერთად მონაწილეობდნენ, მიულოცა რა ყველას საზეიმო დღე, სთქვა: „როგორი გრძნობით შევხვდით იმ ცნობას, რომ ჩვენ ამ კრებაზე გვიწვევენ? მინდა, უწინარეს ყოვლისა, აღვნიშნო, რომ საბჭოთა სახელმწიფომ ჩვენ უფლებებში სავსებით გაგვათანასწორა მუშებთან—ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელ კლასთან. ეს აღაფრთოვანებს კოლმეურნეს, აძლევს მას რწმენას თავის მძლავრი ძალისადმი, ამტკიცებს მუშათა და გლეხთა ძმურ კავშირს. ჩვენ ასეთი სიხარულით და მოუთმენლად ველოდით, თუ როგორ მოვესწრებოდით ამ დღეს, როცა ჩვენ ვიმყოფებით გაერთიანებულ კრებაზე, რათა ვიმსჯელოთ დეპუტატობის კანდიდატებზე მუშებთან, ინჟინრებთან და ტექნიკოსებთან ერთად...

როგორიღაა ჩემი წინადადება ახლა, ამხანაგებო! მე წინადადებას ვიძლევი დავასახელოთ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩვენი საყვარელი ბელადი ამხანაგი სტალინი **(მქუხარე ოვაცია)**“.

კოლმეურნე ზაბროდინმა გამოხატა მთელი საბჭოთა გლეხობის აზრი, სხვა კრებებზედაც კოლმეურნენი ასახელებდნენ, მხურვალედ უჭერდნენ მხარს ამხანაგების სტალინის, მოლოტოვის, კაგანოვიჩის, ვოროშილოვის კანდიდატურებს.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატები, ხალხის ნდობით აღჭურვილნი, დასდებენ და დაამტკიცებენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, გადასწყვეტენ ომისა და ზავის საკითხებს, კონტროლს გაუწევენ კონსტიტუციის შესრულებას, დაადგენენ სოციალისტური მშენებლობის გეგმებს, გამოსცემენ ახალ კანონებს. ესოდენ მაღალი პრეროგატივები ხალხს შეუძლია მიანიჭოს მხოლოდ განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილ პირებს, თავის საუკეთესო შვილებს.

გუშინდელ კრებებზე, ისე როგორც წინა დღეებში, კანდიდატებად ჩვენი ქვეყნის უთვალსაჩინოეს მოღვაწეებთან ერთად ასახელებდნენ ისეთ ადამიანებს, რომელნიც ძირეულ სამუშაოზე გაიზარდნენ, რომელთაც გვიჩვენეს ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი, რომელთაც შესწევთ უნარი იმოქმედონ სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებისათვის.

მოსკოვის ოლქის კომუნისტური რაიონის კოლმეურნეობა „პუტ კ სოციალიზმუ“-ს გლეხებმა დეპუტატობის კანდიდატად დიმიტროვის საარჩევნო ოლქიდან დაასახელეს უპარტიო კოლმეურნე ვასილ სიმონის-ძე სიდოროვი. თავის რეზოლუციაში ისინი სწერენ:

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამხ. ვასილ სიმონის-ძე სიდოროვი არის ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს მოწინავე, წარჩინებული ადამიანი, როგორც ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის პატიოსანი, ერთგული მებრძოლი, როგორც მაღალი საკოლმეურნეო მოსავლის მოწინავე ორგანიზატორი, საბჭოთა მთავრობამ ამხ. სიდოროვი დააჯილდოვა უმაღლესი ჯილდოთი—შრომის წითელი დროშის ორდენით. ჩვენ ვთხოვთ ამხანაგ სიდოროვს დასთანხმდეს და კენჭი იყაროს დიმიტროვის საარჩევნო ოლქში“.

ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი ერთგულება—ეს არის ძირითადი, რაც განსაზღვრავს ჩვენი სამშობლოს პოლიტიკური მოღვაწის სახეს. და ასახელებენ რა კანდიდატებს, მუშები და მოსამსახურეები, ინტელიგენტები და კოლმეურნეები მუდამ ხაზს უსვამენ თავის რჩეულთა ამ მთავარ თვისებას. ასახელებენ რა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს, ხალხი უწინარეს ყოვლისა ზრუნავს იმაზე, რომ წამოაყენოს ისეთი ადამიანები, რომელნიც ბოლომდე ერთგული არიან ხალხის საქმისა, რომელთაც უნარი შესწევთ წაიყვანონ ჩვენი ქვეყანა შემდგომი გამარჯვებებისაკენ.

საბჭოთა ქვეყნის მუშები, გლეხები, მოსამსახურეები, ინტელიგენცია, კომუნისტები და უპარტიოები—მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი ერთსულოვანია თავის გრძნობებში. გაჩაღებულ საარჩევნო კამპანიას მოძრაობაში მოჰყავს მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი. ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა ქალაქსა და სოფელში ხდება კანდიდატურათა წამოყენება. გულდასმით და მოფიქრებულად განიხილავენ თვითეულ დასახელებულ კანდიდატს. უზენაესი საბჭო სამშობლოს გულია, უზენაეს საბჭოში ავირჩიოთ და გავგზავნოთ საუკეთესონი უკეთესთა შორის, ყველაზე ღირსეულნი, ღირსეულთა შორის,— ასეთია აზრი, რომლითაც ახლა სცოცხლობს მთელი ჩვენი ქვეყანა.

ლენინი და სტალინი მუდამ გვასწავლიდნენ ბოლშევიზმის ბრძნულ წესს — არ გამოვეყოთ უპარტიო მასებს, ვისწავლოთ ხალხის წიაღიდან ცხოვრების გამოცდილების შეძენა, ყური დავუგდოთ ხალხის ხმას. სტალინური კონსტიტუცია და ახალი საარჩევნო კანონი უზრუნველჰყოფენ მასების ნება-სურვილის უფართოეს გამოხატვას. ამოქმედებულია ნამდვილი სოციალისტური დემოკრატიის საუცხოო სისტემა.

საარჩევნო კამპანია, რომელიც თავის უმნიშვნელოვანეს ეტაპში შევიდა, მთელ მსოფლიოს უჩვენებს საბჭოთა ხალხის მაღალ პატრიოტიზმს, მის ღრმა რწმენას ლენინ-სტალინის პარტიისადმი, მის ურყევ ნდობას პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისადმი, მის მაღალ, უსაზღვრო პატრიოტიზმს.

„პრავდის“ მოწინავე, 23 X

ამხ. ი. ლ. ხოჯამიროვი კავშირის საბჭოს არჩევნების ბორჯომის საოლქო კომისიის წევრია

ბორჯომი, 22 ოქტომბერი (საქდესი). კავშირის საბჭოს არჩევნების ბორჯომის საოლქო კომისიის წევრად ახალქალაქის რაიონის კომკავშირული ორგანიზაციისაგან გამოყოფილია ივანე ლეონტის-ძე ხოჯამიროვი.

1924 წლიდან, ჯერ ისევ მოზარდი, ამხ. ხოჯამიროვი იწყებს მუშაობას ჯერ ბორჯომის კურორტთა სამმართველოს მშენებლობაზე, შემდეგ კი სამი წლის განმავლობაში მუშაობს სატკეჩე ქარხნის მუშად.

პატარაობიდანვე ამხ. ხოჯამიროვი სწავლისაკენ მიისწრაფოდა. ბოლოს, 1929 წელს მისი სურვილი განხორციელდა; ის შევიდა თბილისის მუშფაკში, რომელიც დაამთავრა 1932 წელს.

ამხ. ხოჯამიროვს აქვს შესანიშნავი უნარი კომკავშირსა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში აქტიური მუშაობის და სწავლის შეთავსებისა.

1932 წლიდან ამხ. ხოჯამიროვი მუშაობს კომკავშირულ და პარტიულ სახელმძღვანელო პასუხსაგებ უბნებზე.

1934 წელს, როდესაც სამხედრო სამსახურში იყო, ამხ. ხოჯამიროვი მუშაობდა № ნაწილის პარტკომის მდივნად. განსაკუთრებული გულშემატკივრობა, საორგანიზაციო ნიჭი — ასეთია ამხ. ხოჯამიროვის დამახასიათებელი მხარეები.

ამჟამად ამხ. ხოჯამიროვი მუშაობს კომკავშირის ახალქალაქის რაიკომის მდივნად.

ამხ. ხოჯამიროვი, რომელმაც ბოლშევიკური აღზრდის დიდი სკოლა გაიარა, ამჟამად გამოყოფილია კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო კომისიის წევრად.

გასწორება

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებაში „საქართველოს სს რესპუბლიკიდან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ (იხ. 23/X „კომუნისტი“) მე-2 გვერდის მეოთხე სვეტის („თბილისის — ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი № 118“) მე-11 აბზაცში სწერია: „ნინო ესტატეს-ასული გენძეშვილი — თბილისის მაუდის ფაბრიკის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან“, უნდა იყოს:.. „თბილისის აბრეშუმის ფაბრიკის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან“.

იმავე გვერდზე მე-7 სვეტის („გურჯაანის საარჩევნო ოლქი № 125“) მე-17 აბზაცში სწერია: “ალექსანდრე თომას-ძე იასონთვი“, უნდა იყოს: “ალექსანდრე თომას-ძე იასონოვი“.

ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების მომზადება

20 წლის წინათ, 1917 წ. 23 (10) ოქტომბერს, ბოლშევიკურმა პარტიამ ლენინისა და სტალინის წინადადებით მიიღო რეზოლუცია შეიარაღებული აჯანყების მომზადების შესახებ

ვ. ი. ლენინი

წერილი ც. კ-ის წევრებს

ამხანაგებო!

ამ სტრიქონებს ვწერ 24-ს საღამოს, მდგომარეობა უაღრესად კრიტიკულია. ცხადზე უცხადესია, რომ ახლა, უკვე ჭეშმარიტად, აჯანყების დაყოვნება სიკვდილს უდრის.

მთელი ძალღონით ვარწმუნებ ამხანაგებს, რომ ახლა ყველაფერი ბეწვზე ჰკიდია, რომ დღის წესრიგში დგას ისეთი საკითხები, რომელთაც თათბირები, ყრილობები (თუნდაც საბჭოთა ყრილობები) კი არ სწყვეტენ, არამედ მხოლოდდამხოლოდ ხალხები, მასა, შეიარაღებულ მასათა ბრძოლა.

კორნილოველთა ბურჟუაზიული შემოტევა, ვერხოვსკის გადაყენება ცხადჰყოფს, რომ ლოდინი არ შეიძლება. საჭიროა, რადაც უნდა დაგვიჯდეს, დღეს საღამოს, ამაღამვე დავაპატიმროთ მთავრობა, განვაიარაღოთ (დავამარცხოთ, თუ წინააღმდეგობა გაგვიწიეს) იუნკრები და ა. შ.

არ შეიძლება ლოდინი!! შეიძლება ყველაფერი დავკარგოთ!!

ახლავე ძალაუფლების აღების ფასია: **ხალხის** (არა ყრილობის, არამედ ხალხის, უწინარეს ყოვლისა არმიისა და გლეხების) დაცვა კორნილოვის მომხრე მთავრობისაგან, რომელმაც ვერხოვსკი გააძევა და კორნილოვის მეორე შეთქმულება მოაწყო.

ვინ უნდა აიღოს ძალაუფლება?

ამას ამჟამად მნიშვნელობა არა აქვს: დაე, იგი აიღოს სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა „ან სხვა დაწესებულებამ", რომელიც განაცხადებს, რომ ძალაუფლებას გადასცემს მხოლოდ ხალხის ინტერესების, არმიის ინტერესების (ახლავე საზავო წინადადება), გლეხთა ინტერესების (მიწა ჩამორთმეულ უნდა იქნას დაუყოვნებლივ, კერძო საკუთრება გაუქმდეს), მშიერთა ინტერესების ჭეშმარიტ წარმომადგენლებს.

საჭიროა, რომ ყველა რაიონი, ყველა პოლკი, მთელი ძალები ახლავე მობილიზებულ იქნან და დაუყოვნებლივ გაუგზავნონ დელეგაციები სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტს, ბოლშევიკთა ც. კ-ს და დაჟინებით მოითხოვონ: არავითარ შემთხვევაში არ დასტოვონ ძალაუფლება კერენსკისა და კომპანიის ხელში 25-მდე, არავითარ შემთხვევაში; საქმე გადასწყდეს უცილებლად დღეს საღამოს ან ღამით.

ისტორია არ აპატიებს დაყოვნებას რევოლუციონერებს, რომლებსაც შეეძლოთ გაემარჯვნათ დღეს (და დანამდვილებით გაიმარჯვებენ დღეს) და რომლებმაც გასწიეს რისკი ხვალ ბევრის დაკარგვისა, გასწიეს რისკი ყველაფრის დაკარგვისა.

დღეს რომ ძალაუფლებას ავიღებთ, ჩვენ მას ვღებულობთ არა საბჭოების წინააღმდეგ, არამედ მათთვის.

ძალაუფლების აღება აჯანყების საქმეა; მისი პოლიტიკური მიზანი აღების შემდეგ გამოირკვევა.

დაღუპვა ან ფორმალობა იქნებოდა დავლოდებოდეთ 25 ოქტომბრის მერყევ კენჭისყრას, ხალხს უფლება აქვს და ვალდებულია გადასწყვიტოს ასეთი საკითხები არა კენჭისყრით, არამედ ძალით; ხალხს უფლება აქვს და ვალდებულია რევოლუციის კრიტიკულ მომენტებში წარმართოს თავისი წარმომადგენლები, თავისი საუკეთესო წარმომადგენლებიც კი, და არა უცადოს მათ.

ეს დაამტკიცა ყველა რევოლუციათა ისტორიამ, და უსაზღვრო იქნებოდა რევოლუციონერთა დანაშაულობა, ხელიდან რომ გაეშვათ მომენტი, როცა იციან, რომ მათზე დამოკიდებულია **რევოლუციის ხსნა**, საზავო წინადადების წამოყენება, პიტერის ხსნა, შიმშილისაგან ხსნა, გლეხებისათვის მიწების გადაცემა.

მთავრობა მერყეობს. საჭიროა მისი **საბოლოოდ განადგურება**, რადაც უნდა დაგვიჯდეს.

გამოსვლის დაყოვნება სიკვდილს უდრის.

დაწერილია 1917 წ. 6 ნოემბერს (24 ოქტომბერს).

გმირული წარსულის დოკუმენტები

„მშ. ბრომლეების ქარხნის მუშათა საერთო კრებამ, მოისმინა რა ცნობა ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, მიიღო გადაწყვეტილება: დაუყოვნებლივ შეიქმნას მუშათა მებრძოლი რაზმი და მოეთხოვოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მიიღოს გადამჭრელი ზომები ხსენებული რაზმისათვის იარაღის მისაწოდებლად რაც შეიძლება მეტი რაოდენობით, იარაღი ჩაბარდეს უშუალოდ საქარხნო კომიტეტს.

1917 წ. 29 აგვისტო".

(მოსკოვის საოლქო არქივი, საქ. № 42, ფურც. 205).

○

„ჩვენ, ვარშავის საარმატურო ქარხნის მუშებმა, 750 კაცის რაოდენობით, ერთხმად დავადგინეთ მოვთხოვოთ მუშათა დეპუტატების საბჭოს სავსებით შეაიარაღოს მუშათა მოწყობილი მებრძოლი რაზმი.

ვინაიდან ბურჟუაზიამ აშკარად გამოაცხადა კონტრრევოლუცია, ე. ი. ძმათამკვლელი ომი, ჩვენ, ვარშავის საარმატურო ქარხნის მუშებმა დავადგინეთ — როგორც ერთი კაცი, ფეხზე დავდგეთ ჩვენი სისხლით მოპოვებული თავისუფლების დასაცავად.

1917 წ. 31 აგვისტო".

(მოსკოვის საოლქო არქივი, საქ. № 42, ფურც. 203).

○

„ჩვენ, ამხანაგობა ალექსეევის, ვიშნიაკოვის, შამშინის მუშებმა, შევიკრიბენით რა საერთო კრებაზე და განვიხილეთ რა ახლანდელ მომენტში ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა, ერთხმად მივიღეთ შემდეგი რეზოლუცია: მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეიარაღებულ იქნან რევოლუციური მუშები.

მოსკოვი, 1917 წ. 6 სექტემბერი".

(მოსკოვის საოლქო არქივი, საქ. № 42, ფურც. 196).

რ. ს.—დ. მ. პ-ის ცენტრალური კომიტეტის 1917 წ. 23 (10) ოქტომბრის სხდომა

საოქმო ჩანაწერი

1.

მოხსენება

ლენინი აღნიშნავს, რომ სექტემბრის დამდეგიდან იმჩნევა რაღაც გულგრილობა აჯანყების საკითხისადმი. ეს კი დაუშვებელია, თუ ჩვენ სერიოზულად ვაყენებთ საბჭოების მიერ ძალაუფლების დაპყრობის ლოზუნგს. ამიტომ უკვე დიდიხანია საჭიროა ყურადღება მიექცეს საკითხის ტექნიკურ მხარეს. ახლაც, ალბათ, დრო საგრძნობლად დაკარგულია.

მაგრამ საკითხი მაინც მწვავედ დგას და გადამწყვეტი მომენტი მოახლოვებულია.

საერთაშორისო მდგომარეობა ისეთია, რომ ინიციატივა ჩვენს ხელთ უნდა იყოს.

ის, რასაც აპირებენ ნარვამდე ჩაბარებისათვის და პიტერამდე ჩაბარებისათვის, კიდევ უფრო მეტად გვაიძულებს მივმართოთ გადამწყვეტ მოქმედებებს.

პოლიტიკური მდგომარეობაც ძლიერ მოქმედებს ამ მხრივ. 3—5 ივლისს ჩვენი გადამწყვეტი მოქმედებანი დაიმსხვრეოდა იმის გამო, რომ ჩვენ არ გვეყოლებოდა უმრავლესობა. მას შემდეგ ჩვენი აღმავლობა გიგანტური ნაბიჯებით მიდის.

მასების აბსენტეიზმი და გულგრილობა შეიძლება აიხსნას იმით, რომ მასები დაიქანცნენ სიტყვებითა და რეზოლუციებით.

უმრავლესობა ახლა ჩვენსკენაა. პოლიტიკურად საქმე სავსებით მომწიფდა ძალაუფლების გადასვლისათვის.

აგრარული განვითარებაც ამ მხრივ მიდის, ვინაიდან ცხადია, რომ საჭიროა გმირული ძალები, რათა ჩახშობილ იქნას ეს მოძრაობა. მთელი მიწის გადასვლის ლოზუნგი გლეხების საერთო ლოზუნგად იქცა. ამრიგად, პოლიტიკური ვითარება მზად არის. უნდა ვილაპარაკოთ ტექნიკურ მხარეზე. ამაშია მთელი საქმე. ამავე დროს ჩვენ, ობორონცების შემდგომ, მიდრეკილება გვაქვს აჯანყების სისტემატური მომზადება რაღაც პოლიტიკური ცოდვის მაგვარად ჩავთვალოთ.

ლოდინი დამფუძნებელ კრებამდე, რომელიც აშკარაა ჩვენთან არ იქნება, უაზროა, ვინაიდან ეს ნიშნავს ჩვენი ამოცანის გართულებას.

საოლქო ყრილობით და მინსკიდან მიღებული წინადადებით უნდა ვისარგებლოთ გადამწყვეტ მოქმედებათა დასაწყებად.

პირველად დაიბეჭდა 1922 წ. ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციაში" № 10. იბეჭდება ოქმების ტექსტის მიხედვით.

რეზოლუცია

მიღებული რ. ს.-დ. მ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1917 წლის 23 (10) ოქტომბერს

„ც. კ. აღიარებს, რომ როგორც რუსეთის რევოლუციის საერთაშორისო მდგომარეობა (აჯანყება გერმანიის ფლოტში, როგორც მთელს ევროპაში მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ზრდის უკიდურესი გამოხატულება, შემდეგ მსოფლიო იმპერიალისტების მიერ ზავის ჩამოგდების მუქარა რუსეთის რევოლუციის ჩახშობის მიზნით), ისე სამხედრო მდგომარეობა (რუსეთის ბურჟუაზიისა და კერენსკის კომპანიისთურთ უეჭველი გადაწყვეტილება გერმანელებისათვის პიტერის ჩაბარების შესახებ), აგრეთვე პროლეტარულ პარტიის მიერ საბჭოებში უმრავლესობის მოპოვება — ყოველივე ეს გლეხთა აჯანყებასა და ხალხის ნდობის ჩვენი პარტიისაკენ შემოტრიალებასთან დაკავშირებით (არჩევნები მოსკოვში), ბოლოს, მეორე კორნილოვშჩინის აშკარა მომზადება (პიტერიდან ჯარების გაყვანა, პიტერისაკენ ყაზახების გამოგზავნა, მინსკის გარშემორტყმა ყაზახებით და სხვ.), — ყოველივე ეს დღის წესრიგში აყენებს შეიარაღებულ აჯანყებას.

აღიარებს რა ამგვარად, რომ შეიარაღებული აჯანყება აუცილებელია და სავსებით მომწიფებულია, ც. კ. წინადადებას აძლევს პარტიის ყველა ორგანიზაციას იხელმძღვანელონ ამით და ამ თვალსაზრისით განიხილონ და გადასწყვიტონ ყველა პრაქტიკული საკითხი (ჩრდილოეთის ოლქის საბჭოების ყრილობის, პიტერიდან ჯარის გაყვანის, მოსკოველებისა და მინსკელების გამოსვლებისა და სხვ.).



20 წლის წინათ. „კრემლის აღება ტროიცის ჭიშკართან" მხატვარ იუონის სურათის რეპროდუქცია. („სოიუზფოტო")

ი. სტალინი

რა გვჭირდება?

თებერვალში მეფე ჩამოაგდეს ჯარისკაცებმა და მუშებმა. მაგრამ, დაამარცხეს რა მეფე, მათ არ ისურვეს თავის ხელში აეღოთ ძალაუფლება. მუშებმა და ჯარისკაცებმა, რომელთაც ცუდი მწყემსები— ესერები და მენშევიკები ხელმძღვანელობდნენ, ძალაუფლება ნებაყოფლობით გადასცეს მემამულეებისა და კაპიტალისტების კაცებს: მილიუკოვებსა და ლვოვებს, გუჩკოვებსა და კონოვალოვებს.

ეს გამარჯვებულთა საბედისწერო შეცდომა იყო. ამ შეცდომისათვის ახლა სამაგიეროს ზღავენ ჯარისკაცები ფრონტზე, მუშები და გლეხები ზურგში.

მეფეს რომ ამხობდნენ, მუშებს ეგონათ, რომ მიიღებდნენ პურსა და სამუშაოს. მაგრამ ამის ნაცვლად მათ „მიიღეს" სიძვირე და შიმშილი, ლოკაუტები და უმუშევრობა. რატომ?

— იმიტომ, რომ მთავრობაში სხედან კაპიტალისტებისა და სპეკულანტების კაცები, რომელთაც უნდათ დაიმორჩილონ მუშები არაქათის გამოცლით.

მეფეს რომ ამხობდნენ, გლეხებს ეგონათ, რომ მიიღებდნენ მიწას. მაგრამ ამის ნაცვლად მათ „მიიღეს" თავიანთი დეპუტატების დაპატიმრება და დამსჯელი ექსპედიციები. რატომ?

— იმიტომ, რომ მთავრობაში სხედან მემამულეთა კაცები, რომლებიც გლეხებს არაფრის გულისათვის არ დაუთმობენ.

მეფეს რომ ამხობდნენ, ჯარისკაცებს ეგონათ, რომ მიიღებდნენ ზავს. მაგრამ ამის ნაცვლად მათ „მიიღეს" გაჭიანურებული ომი, რომლის გაჭიანურებაც ამასთანავე კიდევ მომავალ შემოდგომამდე უნდათ. რატომ?

— იმიტომ, რომ მთავრობაში სხედან კაცები ინგლის-საფრანგეთის ბანკირებისა, რომელთათვისაც ხელსაყრელი არ არის ომის „მალე" დამთავრება, რომლებიც მძარცველურად მდიდრდებიან ომზე.

მეფეს რომ ამხობდა, ხალხს ეგონა, რომ ორი-სამი თვის შემდეგ მოიწვევდნენ დამფუძნებელ კრებას. მაგრამ დამფუძნებელი კრების მოწვევა ერთხელ უკვე გადადებულ იქნა, და ახლა მტრები აშკარად ემზადებიან მისი საბოლოოდ ჩაშლისათვის. რატომ?

— იმიტომ, რომ მთავრობაში სხედან ხალხის მტრები, რომელთათვისაც ხელსაყრელი არ არის დამფუძნებელი კრების დროზე მოწვევა.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ძალაუფლება დარჩა მემამულეებისა და კაპიტალისტების, ბანკირებისა და სპეკულანტების, ჩარჩებისა და მაროდიორების ხელში,— აი რაშია მუშათა და გლეხთა საბედისწერო შეცდომა, აი სად არის მიზეზი ახლანდელი უბედურებებისა ზურგში და ფრონტზე.

ეს შეცდომა ახლავე უნდა გამოსწორდეს. დადგა მომენტი, როდესაც შემდგომი დაყოვნება რევოლუციის მთელ საქმეს დაღუპვას უქადის.

მემამულეებისა და კაპიტალისტების ახლანდელი მთავრობა უნდა შეიცვალოს მუშათა და გლეხთა ახალი მთავრობით...

ახლანდელი ცრუმარქვია მთავრობა, რომელიც ხალხს არ აურჩევია და ხალხის წინაშე პასუხისმგებელი არ არის, უნდა შეიცვალოს ხალხის მიერ აღიარებული მთავრობით, რომელიც არჩეული იქნება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა წარმომადგენლების მიერ და პასუხისმგებელი იქნება ამ წარმომადგენელთა წინაშე.

კიშკინ - კონოვალოვის მთავრობა უნდა შეიცვალოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების მთავრობით.

ის, რაც თებერვალში არ გაკეთებულა, ახლა უნდა გაკეთდეს.

ასეთი და მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება ზავის, პურის, მიწის, თავისუფლების მოპოვება.

— მუშებო, ჯარისკაცებო, გლეხებო, ყაზახებო, ყველა მშრომელნო!

გინდათ თუ არა, რომ მემამულეთა და კაპიტალისტთა ახლანდელი მთავრობის ნაცვლად ხელისუფლების სათავეში ჩაუდგეს მუშათა და გლეხთა ახალი მთავრობა?

გინდათ თუ არა, რომ რუსეთის ახალმა მთავრობამ, გლეხთა მოთხოვნის თანახმად, გამოაცხადოს მიწაზე მემამულეთა უფლებების გაუქმება და მემამულეთა ყველა მიწები გამოუსყიდველად გადასცეს გლეხთა კომიტეტებს?

გინდათ თუ არა, რომ რუსეთის ახალმა მთავრობამ გამოაქვეყნოს მეფის საიდუმლო ხელშეკრულებანი, ისინი არასავალდებულოდ აღიაროს და ყველა მეომარ ხალხებს სამართლიანი ზავი შესთავაზოს?

გინდათ თუ არა, რომ რუსეთის ახალმა მთავრობამ საბოლოოდ ალაგმოს ლოკაუტელები და სპეკულანტები, რომლებიც განზრახ ამწვავებენ შიმშილობასა და უმუშევრობას, ნგრევასა და სიძვირეს?

თუ ეს გინდათ, მოიკრიბეთ მთელი თქვენი ძალები, აღსდექით ყველანი უკლებლივ, როგორც ერთი კაცი, მოაწყეთ კრებები, ამოირჩიეთ დელეგაციები და მათი საშუალებით აღნუსხეთ თქვენი მოთხოვნანი საბჭოების ყრილობისათვის წარსადგენად, რომელიც ხვალ სმოლნში იხსნება.

თუ ყველანი ერთსულოვნად და მტკიცედ იმოქმედებთ, ვერავინ ვერ გაბედავს წინააღუდგეს ხალხის ნებასურვილს. ძველი მთავრობა ადგილს დაუთმობს ახალს მით უფრო მშვიდობიანად, რაც უფრო ძლიერად, დარაზმულად და მძლავრად გამოხვალთ თქვენ. და მაშინ მთელი ქვეყანა გაბედულად და მტკიცედ წავა ხალხთათვის ზავის, გლეხებისათვის მიწის, დამშეულთათვის პურისა და სამუშაოს მოსაპოვებლად.

ძალაუფლება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში უნდა გადავიდეს.

ხელისუფლების სათავეში უნდა იყოს ახალი მთავრობა, რომელიც არჩეული იქნება საბჭოების მიერ, რომლის შეცვლაც შეეძლებათ საბჭოებს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საბჭოების წინაშე.

მხოლოდ ასეთ მთავრობას შეუძლიან უზრუნველჰყოს დამფუძნებელი კრების დროულად მოწვევა.

„რაბოჩი პუტ" № 44. 1917 წ. 24 ოქტომბერი (6 ნოემბერი) მოწინავე, ხელმოუწერელი.

ემ. იაროსლავსკი

ოქტომბრის აჯანყება

კორნილოვის ამბოხების ჩაქრობამ პიტერის მუშებისა და ჯარისკაცების მიერ, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, ახალი რევოლუციური აზვირთება გამოიწვია მთელ ჩვენს ქვეყანაში. მასები პირადი გამოცდილებით დარწმუნდნენ იმაში, რომ გენერლები, მემამულენი და კაპიტალისტები მზად იყვნენ მშრომელთა სისხლით მოერწყოთ ქალაქები და სოფლები, ოღონდ კი რევოლუცია გაეჭიისათ და ქვეყანაში თავისი ძალაუფლება აღედგინათ. მასები დარწმუნდნენ, რომ მენშევიკები და ესერები ბურჟუაზიის ბატონობის შენარჩუნებისათვის ყოველგვარ გამცემლობაზე წავიდოდნენ და რომ ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ერთ პარტიას, ბოლშევიკთა პარტიას შესწევდა უნარი მოეწყო კონტრრევოლუციისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

პეტროგრადში, მოსკოვში, ურალზე, უკრაინაში, დონბასში მელითონენი, მაღაროელნი, ფეიქარნი, მბეჭდავნი, მეტყავენი, რკინიგზელნი აქტიურად ამოძრავდნენ ბურჟუაზიასთან საბრძოლველად. საგაფიცვო მოძრაობა ფართოდ მოედო მთელ ჩვენს ქვეყანას.

კორნილოვშჩინამ საბოლოოდ გააცამტვერა გლეხობის ყველა ილუზია დროებითი მთავრობის ხელიდან მიწის მიღებისა. სოფლის წინაშე კვლავ აღიმართა მემამულეთა ბატონობის დაბრუნების საფრთხე. გლეხთა მოძრაობამ მემამულეთა პურის, პირუტყვისა და ინვენტარის დაუყოვნებლივ ხელში ჩაგდებისათვის გრანდიოზული მასშტაბი მიიღო.

დამსჯელმა ექსპედიციებმა, რომლებსაც ფართოდ მიმართავდა დროებითი მთავრობა, არათუ ვერ ჩააქრეს მღელვარება, არამედ, პირიქით, ხელი შეუწყეს მის შემდგომ გავრცელებას.

იწყებოდა და განსაკუთრებულ სიმწვავეს აღწევდა მღელვარება ჩაგრულ ეროვნებათა შორის, რაც მთელ რიგ ოლქებში შეიარაღებულ ბრძოლად გადადიოდა.

უკიდურესად გამწვავდა მდგომარეობა ფრონტზე და ფლოტში. მეთაურთა შემადგენლობამ ჯარისკაცებსა და მატროსებს შორის ნდობის უკანასკნელი ნატამალი დაჰკარგა. სულ უფრო და უფრო ხშირად ცალკეული ნაწილები უარს აცხადებდნენ საბრძოლო ბრძანებათა შესრულებაზე, ძლიერდებოდა სტიქიური დემობილიზაცია. ფრონტი დაიშალა.

ქვეყანაში რევოლუციური კრიზისი მწიფდებოდა.

ბოლშევიკური პარტიის ავტორიტეტი მუშათა კლასში და გლეხობაში სწრაფად იზრდებოდა და მტკიცდებოდა. ბოლშევიკთა ტაქტიკა, რომელიც იმაზე იყო გაანგარიშებული, რომ შესაძლებლობა მიგვეცა მასებისათვის—საკუთარი გამოცდილებით დარწმუნებულიყვნენ პარტიის ლოზუნგების სისწორეში, სავსებით გამართლდა. ბოლშევიკური პარტიის გავლენა საბჭოებშიაც იზრდებოდა, პეტროგრადის, მოსკოვისა და მთელი რიგი სხვა საბჭოები უმრავლესობით ბოლშევიკური ხდებიან.

ასეთ პირობებში პარტიამ დღის წესრიგში დასვა ძალაუფლების დაპყრობის საკითხი. პარტიამ კვლავ წამოაყენა ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს". „ახლა ეს ლოზუნგი მოასწავებდა რევოლუციის პირდაპირ მისვლას პროლეტარიატის დიქტატურასთან აჯანყების გზით. უფრო მეტიც, ახლა ეს ლოზუნგი ნიშნავდა პროლეტარიატის დიქტატურის ორგანიზაციას და სახელმწიფოებრივ გაფორმებას" (სტალინი. ლენინიზმის საკითხები, მე-10 გამოცემა, გვ. 94. ქართ. გამოც. გვ. 116).

სექტემბრის დამლევს და ოქტომბერში ლენინმა მთელი რიგ სტატიებში („კრიზისი მომწიფდა", „გარეშის რჩევანი", „წერილი ამხანაგ ბოლშევიკებს, რომლებიც მონაწილეობენ ჩრდილოეთის ოლქის საოლქო ყრილობაზე" და სხვ.) დაჟინებით და მწვავედ დასვა აჯანყების მოწყობის საკითხი, ხაზგასმით აღნიშნავდა რა, რომ აჯანყების დაყოვნება სიკვდილს უდრის.

ლენინი სწერდა: „კრიზისი მომწიფდა. რუსეთის რევოლუციის მთელი მომავალი სასწორზე დადებულია. [illegible] (ლენინი. ტ. 21, გვ. 239).

აჯანყების საკითხი ლენინისა და სტალინის წინადადებით განხილულ იქნა ბოლშევიკთა ც. კ-ის 1917 წ. 10 ოქტომბრის (23 ოქტომბრის) სხდომაზე. ცენტრალურმა კომიტეტმა სცნო, „რომ შეიარაღებული აჯანყება გარდუვალია და სავსებით მომწიფდა" (ლენინი. ტ. 21, გვ. 330).

ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებამ შეიარაღებული აჯანყების შესახებ ყველა პარტიული ორგანიზაციის ერთსულოვანი მოწონება და მხარდაჭერა ჰპოვა.

აჯანყების წინააღმდეგ გაილაშქრეს საზიზღარმა შტრეიკბრეხერებმა კამენევმა და ზინოვიევმა. ეს ბილწი გამცემლები, რომლებიც ბოლოს და ბოლოს ფაშიზმის ბანაკში გადაბარგდნენ, არ დასჯერდნენ წინააღმდეგობის გამოთქმას ც. კ-ის სხდომაზე და მიმართეს ადგილობრივ კომიტეტებს პროტესტით ც. კ-ის გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

აჯანყების წინააღმდეგ ამ საზიზღარ მოღალატეთა გამოსვლამ ლენინის გაფთრებული აღშფოთება გამოიწვია. პროლეტარული რევოლუციონერის მთელი მგზნებარებით ლენინმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა ისინი, როგორც ბილწი გამცემლები, კონტრრევოლუციის ბანაკში აშკარად გადასულნი.

ბოლშევიკური პირდაპირობით ლენინი სვამდა საკითხს: „ან ლიბერდანებთან გადასვლა და აშკარა უარყოფა ლოზუნგისა „მთელი ძალაუფლება საბჭოებს", ან აჯანყება. საშუალო რამ არ არსებობს". (ლენინი. ტ. 21, გვ. 338).

16 ოქტომბერს ჩატარდა ც. კ-ის სხდომა პეტროგრადის ხელმძღვანელი პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად. ამ კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც სავსებით იწონებდა ც. კ-ის გადაწყვეტილებას.

ორივე რეზოლუცია შედგენილი და წამოყენებული იყო ლენინის მიერ. ამავე დღეს ც. კ-ის სხდომაზე შეიარაღებული აჯანყების უშუალო ხელმძღვანელობისა და ორგანიზაციისათვის შეიქმნა სამხედრო-პოლიტიკური ცენტრი ამხანაგ სტალინის მეთაურობით.

[illegible]

გამცემლებმა ზინოვიევმა და კამენევმა, რომლებიც ერთსულოვნად, მკაცრად უკუაგდეს ყველა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციაში, კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიას გაუმჟღავნეს პარტიის საიდუმლო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების შესახებ, დაბეჭდეს რა თავისი დაბეზღება მენშევიკურ გაზეთ „ნოვაია ჟიზნში". ეს იუდები მიდიოდნენ ყოველგვარ გამცემლობაზე, ყოველგვარ ღალატზე, არავითარ საშუალებას არ თაკილობდნენ, ოღონდ კი ჩაეშალნათ პროლეტარული რევოლუციის ძლევამოსილი განვითარება და შეენარჩუნებინათ კაპიტალისტთა და მემამულეთა ბატონობა.

ლენინმა ცენტრალურ კომიტეტს მიმართა წერილით, რომელშიაც სწერდა:

„კამენევმა და ზინოვიევმა როძიანკოსა და კერენსკის **გაუმჟღავნეს** თავისი პარტიის ც. კ-ის გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების შესახებ, შეიარაღებული აჯანყების მზადების მტრისაგან დაფარვისა და შეიარაღებული აჯანყებისათვის ვადის შერჩევის შესახებ. ეს ფაქტია. არავითარი ფანდებით არ შეიძლება ამ ფაქტის უარყოფა. ც. კ-ის ორმა წევრმა მაბეზღრული სიცრუით კაპიტალისტების წინაშე **გაუმჟღავნა** მათ მუშების გადაწყვეტილება. ამაზე პასუხი შეიძლება და უნდა იყოს მხოლოდ ერთი: ც. კ-ის დაუყოვნებლივი გადაწყვეტილება:

„სცნობს რა შტრეიკბრეხერობის სრულ შედგენილობას არაპარტიულ პრესაში ზინოვიევისა და კამენევის გამოსვლაში, ც. კ. ორივეს რიცხავს პარტიიდან".

(ლენინი. ტ. 21, გვ. 355).

ბოლშევიკურმა პარტიამ, თავისი დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის მიერ აღზრდილმა, გამანადგურებელი პასუხი გასცა საზიზღარ გარეწარ - შტრეიკბრეხერებს. პარტია გაჰყვა თავის მასწავლებლებს, ლენინსა და სტალინს.

ლენინმა ჯერ კიდევ ბევრად უფრო ადრე აჯანყებამდე გაარჩია და [illegible] „...რეშის რჩევანი" ლენინმა მოგვაგონა, რომ „...შეიარაღებული აჯანყება არის პოლიტიკური ბრძოლის **განსაკუთრებული** სახე, დაქვემდებარებული განსაკუთრებული კანონებისადმი, რომლებსაც ყურადღებით უნდა ჩავუფიქრდეთ. ეს ჭეშმარიტება შესანიშნავად რელიეფურად გამოხატა კარლ მარქსმა, რომელიც სწერდა, რომ შეიარაღებული **„აჯანყება, ისევე როგორც ომი, ხელოვნებაა"** (ლენინი. ტ. 21, გვ. 319).

გაიხსენა რა მარქსის ეს აზრი აჯანყების შესახებ, ლენინი იძლეოდა კონკრეტულ მითითებებს იმაზე, რომ აუცილებელია შეტევის ერთდროულად დაწყება უმნიშვნელოვანესი პუნქტებიდან, მათ შორის მთელი ფლოტის შეტევისა, გადამწყვეტ ცენტრებში ძალთა გიგანტური სიჭარბის შექმნა, უმნიშვნელოვანესი დაწესებულებების დაკავება. ყველაზე გამბედავი ელემენტების, განსაკუთრებით მუშა ახალგაზრდობის გამოყოფა ყველა მნიშვნელოვან ოპერაციაში მონაწილეობისათვის. ბოლშევიკებმა გიგანტური ორგანიზაციული მუშაობა გაშალეს თავისი ბელადის ამ მითითებათა შესასრულებლად.

ცდილობდა რა წაერთმია რევოლუციისათვის მისი შეიარაღებული ძალა, კერენსკიმ ბრძანება გასცა პეტროგრადიდან რევოლუციური ნაწილების გაყვანისა და მათი ფრონტზე გაგზავნის შესახებ.

პეტროგრადის საბჭომ, რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, დაადგინა შეექმნა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც თავისი კომისრები დანიშნა ყველა სამხედრო ნაწილში. ამ კომისრების შეუტყობინებლად და მათი თანხმობის მიუღებლად არ შეიძლებოდა არცერთი ბრძანების შესრულება. რევოლუციური ჯარები გაყვანილ არ იქნენ დედაქალაქიდან. სამხედრო ნაწილები ერთიმეორის მიყოლებით გადადიოდნენ აჯანყების მხარეზე.

აუცილებელია აღინიშნოს ბოლშევიკური პრესის უდიდესი როლი. იგი პროლეტარული რევოლუციის საგანგაშო ზარი იყო. სექტემბერსა და ოქტომბერში, კონტრრევოლუციის ბანდების მიერ დარბეული „პრავდის" ნაცვლად გამოდიოდა გაზეთი „რაბოჩი პუტ", რომელიც ჩვენი პარტიის ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენდა. ცენტრალური ორგანოს მთავარი რედაქტორი იყო ამხანაგი სტალინი. ლენინისა და სტალინის სტატიებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ მასების რევოლუციური ბოლშევიკური აღზრდისა და ორგანიზაციის საქმეში, მშრომელთათვის რევოლუციის ამოცანების განმარტების საქმეში.

ბურჟუაზიამ და მისმა დამქაშებმა, რაკი შტრეიკბრეხერების, გამცემლების—კამენევისა და ზინოვიევისაგან ცნობა მიიღეს, დაუყოვნებლივ მიიღეს ზომები იმისათვის, რომ სწრაფად გაენადგურებინათ რევოლუციის შტაბი—ბოლშევიკთა პარტია. იმავე დღეს საღამოს (18 ოქტომბერს), როდესაც „ნოვაია ჟიზნში" კამენევისა და ზინოვიევის საზიზღარი გამცემლური დაბეზღება გამოვიდა, დროებითმა მთავრობამ მოაწყო საიდუმლო სხდომა იმ აჯანყების თავიდან აცილების საკითხზე, რომელსაც ბოლშევიკები ამზადებდნენ. 19 ოქტომბერს დროებითმა მთავრობამ სასწრაფოდ გამოიწვია პეტროგრადში ჯარები ფრონტიდან.

23 ოქტომბერს დროებითმა მთავრობამ დაადგინა დაეხურა გაზეთები „რაბოჩი პუტ" და „სოლდატ" და დაუყოვნებლივ დაეპატიმრებინა ბოლშევიკები—3-4 ივლისის ამბების მონაწილენი.

24 ოქტომბერს დროებითმა მთავრობამ გამოსცა ბრძანება სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის საქმიანობის გამოკვლევის შესახებ, ხოლო სამხედრო ოლქის შტაბმა გამოაქვეყნა ბრძანება სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მიერ სამხედრო ნაწილებში დანიშნული კომისრების გადაყენებისა და სამართალში მიცემის შესახებ.

ქალაქის უმნიშვნელოვანესი პუნქტები იუნკრებმა დაიკავეს.

ამის პასუხად სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა აღადგინა გაზეთების „რაბოჩი პუტისა" და „სოლდატის" გამოშვება, მოაწყო სტამბების დაცვა და საბრძოლველად გაამზადა გარნიზონის ყველა ის სამხედრო ნაწილები, რომელნიც რევოლუციის ერთგული იყვნენ.

24 ოქტომბერს (6 ნოემბერს) საღამოს ლენინი სმოლნის ინსტიტუტში მიდის და ამხანაგ სტალინთან ერთად პირადად ხელმძღვანელობს აჯანყებას. აქვე სწერს იგი განსაკუთრებით მგზნებარე შინაარსის „წერილს ც. კ-ის წევრებისადმი", რომელშიაც მოუწოდებს: „...რადაც უნდა დაგვიჯდეს, დღეს საღამოს, ამაღამ დავაპატიმროთ მთავრობა, განვაიარაღოთ (დავამარცხოთ, თუ წინააღმდეგობა გაგვიწიეს) იუნკრები და ა. შ.

არ შეიძლება ლოდინი!! შეიძლება ყველაფერი დავკარგოთ!!" (ლენინი, ტ. 21, გვ. 362).

ლენინს მხურვალედ უჭერს მხარს ამხანაგი სტალინი. თავის სტატიაში „რა გვჭირდება", რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „რაბოჩი პუტში" აჯანყების წინადღეს, ამხანაგი სტალინი სწერს:

„დადგა მომენტი, როდესაც შემდგომი დაყოვნება რევოლუციის მთელ საქმეს დაღუპვას უქადის.

მემამულეებისა და კაპიტალისტების ახლანდელი მთავრობა უნდა შეიცვალოს მუშათა და გლეხთა ახალი მთავრობით...

ახლანდელი ცრუმარქვია მთავრობა, რომელიც ხალხს არ აურჩევია და ხალხის წინაშე პასუხისმგებელი არ არის, უნდა შეიცვალოს ხალხის მიერ აღიარებული მთავრობით, რომელიც არჩეული იქნება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა წარმომადგენლების მიერ და პასუხისმგებელი იქნება ამ წარმომადგენელთა წინაშე" („რაბოჩი პუტ", № 44, 1917 წ. 24 ოქტომბერი (6 ნოემბერი).

25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) წითელმა გვარდიამ და რევოლუციურმა ჯარებმა პეტროგრადში დაიკავეს მთავრობის უმთავრესი დაწესებულებანი, ვაგზლები, ფოსტა, ტელეგრაფი. სმოლნის ინსტიტუტი გახდა რევოლუციის საბრძოლო შტაბი, საიდანაც მიდიოდა საბრძოლო ბრძანებანი, სადაც იარაღდებოდა წითელი გვარდია. პეტროგრადის მუშებმა ამ დღეებში გვიჩვენეს, რომ მათ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით კარგი სკოლა გაიარეს. ჯარების რევოლუციური ნაწილები, რომელნიც მომზადებული იყვ-

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

ჩინეთის ჯარები ავიწროებენ იაპონიის ჯარებს

შანსის პროვინციაში

ნანკინი, 21 ოქტომბერი (საკდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტო იუწყება, რომ ჩინეთის ჯარებმა შანსის პროვინციაში **იანმინპუ-დაიჯოუს რაიონში მოსპეს იაპონელთა საავიაციო ბაზა. ეს ოპერაცია შესრულა ჩინეთის მე-8 სახალხო-რევოლუციური არმიის მე-4 პოლკმა.** 20 ოქტომბერს შუაღამისას დაიწყო ჩინეთის ჯარების იერიში იაპონიის მთავარ ძალებზე დაიჯოუ-გოსიანის რაიონში. ღამის პირველ საათზე ერთი ათასეული გაიჭრა დროებითს აეროდრომზე, სადაც იაპონელთა 24 თვითმფრინავი იდგა. ჩინელმა ჯარისკაცებმა ხელყუმბარებითა და ტყვიამფრქვევებით დაანგრიეს თვითმფრინავები. თავდასხმის დროს იაპონიის ჯარებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

16 ოქტომბერს ჩინეთის ჯარებმა ააფეთქეს რკინიგზის ხიდი ჩენძიაპოში. მიმოსვლა დატუნსა და იანმინგუანის გასასვლელს შორის სავსებით შეწყვეტილია. ამასთან დაკავშირებით მეტად კრიტიკულია იაპონელთა 5-ათასიანი ჯარის მდგომარეობა, რომელსაც რამდენიმე დღის წინათ გარსშემოერტყნენ სინკოუს ჩრდილო-დასავლეთით (იუანპინის სამხრეთით). ჩინეთის სამხედრო წრეებიდან გამომდინარე უკანასკნელი ცნობებით ჩინეთის მე-8 არმიის ნაწილებმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს იაპონელთა ჯარების ამ ჯგუფს. ბრძოლების დროს ხელთ იგდეს დიდძალი ტანკი და საბარგო მანქანა, მრავალი ტყვე, ამუნიცია და იაპონელთა შტაბის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები. ამ დოკუმენტებს შორის არის დეპეშა იაპონელთა შტაბისა ჩრდილო ჩინეთში იაპონელთა იმ ჯარების საველე შტაბისადმი, რომელნიც შანსის პროვინციაში იმყოფებიან. თხოვნაზე, რომ შანსის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში დამხმარე ძალები გაიგზავნოს, ჩრდილოეთ ჩინეთში მყოფ იაპონელთა ჯარების შტაბი უპასუხებს, რომ დამხმარე ძალების გაგზავნა არ შეიძლება, რადგან მიუხედავად იაპონელთა 450-ათასიანი ჯარის თავმოყრისა მანჯურიაში, იქ მეტად გამწვავებული მდგომარეობაა. ამავე დეპეშაში აღნიშნულია, რომ ხდება იაპონელთა ჯარების კონცენტრაცია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრების გასწვრივ.

ჩინეთის ჯარები აქტივობას ავითარებენ აგრეთვე შანსის დასავლეთ საზღვარზე. იაპონიის ჯარები, რომლებიც შეტევას აწარმოებენ ნიანძიგუანის გასასვლელზე, გარშემორტყმული არიან ჩინეთის ჯარებით. მიმოსვლის ყველა გზა გადაჭრილია, და იაპონელთა ნაწილებს მოსპობის საფრთხე მოელით. ჩინელთა ცნობებით, ამ რაიონში იაპონიის ჯარებს უკვე მოუკლეს ორი ათასი კაცი.

შანსის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში ჯერ კიდევ 18 ოქტომბერს ჩამოგდებულ იქნა იაპონელთა 2 თვითმფრინავი, მაგრამ მათი ნარჩენები მხოლოდ ახლა იპოვეს მთიან ადგილში.

შანხაის რაიონში

შანხაი, 21 ოქტომბერი (საკდესი). ჩინეთის ჯარები შანხაის ფრონტზე მედგრად იცავენ დაჩანს (შანხაის ჩრდილოეთ-დასავლეთით). იგერიებენ რა იაპონელთა განუწყვეტელ იერიშებს, ისინი ინარჩუნებენ ყველა თავის პოზიციას იმ გზატკეცილის დასავლეთით, რომელიც შანხაიდან დაჩანზე გავლით ლიუხანს მიდის. 21 ოქტომბერს დილით ძლიერი ბრძოლის შემდეგ ჩინეთის ჯარებმა დაიკავეს ერთერთი სოფელი კოძიაბაილოუს ჩრდილოეთით. იაპონიის ჯარების დიდმა ძალებმა ფინძუნტანის არხის ჩრდილოეთ-დასავლეთით რამდენიმე იერიში მიიტანეს ჩინელთა პოზიციებზე. მიუხედავად იაპონელთა რიცხობრივი უპირატესობისა, ჩინელთა ჯარებმა ყველა იერიში მოიგერიეს.

21 ოქტომბერს დილის 4 საათზე, იაპონიის ჯარების რაზმმა დაიწყო შეტევა ლაოლიუძზე (სოფელი გუანფუსა და ჩენძიახანის შუაგზაზე). სასტიკი ხელჩართული ბრძოლის შემდეგ იაპონელთა რაზმი უკუგდებულ იქნა. ჩინელთა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს აგრეთვე იაპონელთა შეტევა სოფელ სინძეზე, გუანფუს ჩრდილოეთ-დასავლეთით.

ძიანვანის სექტორში იაპონელებმა 21 ოქტომბერს დილით იერიში მიიტანეს სამოქალაქო ცენტრის მხრიდან. ჩინეთის ჯარებმა იერიში ადვილად მოიგერიეს. ამასთან დაზიანდა იაპონელთა სამი ტანკი.

ჩაპეი, ჩვეულებრივ, წარმოადგენს იაპონელთა თვითმფრინავების ბომბარდირების ობიექტს. დანგრეულია მთელი რიგი სახლები და რამდენიმე საფაბრიკო შენობა.

წინასადღესასწაულო საკოლმეურნეო ბაზრობა სტალინის რაიონის ახალ დახურულ ბაზარში.
ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომა

პარიზი, 21 ოქტომბერი (საკდესი). დღეს დილით შესდგა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომა. ამ სხდომის გამო გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ პოლიტბიურო კმაყოფილებით აფასებს საკანტონო არჩევნების შედეგებს, როგორც სახალხო ფრონტის ახალ ბრწყინვალე გამარჯვებას, რომელმაც კომუნისტურ პარტიას ხმების უფრო მეტი რაოდენობა მისცა, ვიდრე მან შეაგროვა 1936 წლის საპარლამენტო არჩევნებში. ამ გამარჯვების შედეგად კომუნისტურ პარტიას ჰყავს 107 საკანტონო მრჩეველი, ნაცვლად 33 მრჩეველისა, რომლებიც მას არჩევნებამდე ჰყავდა. პოლიტბიურომ აღნიშნა, რომ არჩევნების არსებულმა წესმა რეაქციულ და ფაშისტურ პარტიებს შესაძლებლობა მისცა მიეღოთ 200-ზე მეტი ადგილი, რომლებიც მათ არ უნდა მიეღოთ არჩევნების სხვანაირი ორგანიზაციის დროს. ამასთან დაკავშირებით პოლიტბიურომ გადასწყვიტა, გააჩაღოს კამპანია პროპორციული წარმომადგენლობის სასარგებლოდ, რომლის ლოზუნგი წარმოადგენს საფრანგეთის დემოკრატიის ძველ მოთხოვნას.

პოლიტბიურო, აღშფოთებული ფაშისტი ინტერვენტების მზარდი თავხედობით ესპანეთში, სასტიკად ჰგმობს სახელმწიფოთა უმოქმედობას, რომელნიც ეგრეთწოდებული ჩაურევლობის საბაბით ნამდვილად ხელს უწყობენ მუსოლინისა და ჰიტლერის ხრიკებს.

პოლიტბიურომ დაადგინა ეცადოს, რათა ფართო კამპანიის ჩატარების გზით საფრანგეთის მთავრობამ მიიღოს ზომები ასტურიიდან სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაციისათვის ხელისშესაწყობად.

— პოლიტბიურო,—ნათქვამია კომუნიკეში—დარწმუნებულია, რომ აღნიშნული ზომები შეეფერებიან საფრანგეთის ინტერესებს, რომელიც სურთ მოსწყვიტონ ჩრდილო აფრიკას. პოლიტბიურომ გადასწყვიტა მიმართოს სოციალისტურ პარტიას წინადადებით — მოაწყონ საერთო კამპანია ესპანეთის რესპუბლიკის სასარგებლოდ.

პოლიტბიურომ გადასწყვიტა აგრეთვე გააძლიეროს კამპანია ჩინეთში იაპონელების ფაშიზმის დანაშაულობათა წინააღმდეგ და მხარი დაუჭიროს პროფკავშირულ ორგანიზაციების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს იმ საქონლის ბოიკოტის მოწყობის საკითხში, რომელიც იაპონიიდან მოდის ან იქ იგზავნება.

შემდეგ პოლიტბიურო აღნიშნავს, რომ სიძვირის ზრდა მძიმე ტვირთად აწვება საფრანგეთის მშრომელ მასებს, ამასთან დაკავშირებით პოლიტბიურომ გადასწყვიტა გააძლიეროს კამპანია სიძვირის ორგანიზატორთა წინააღმდეგ, რომელნიც ერთდაიმავე დროს სძარცვავენ წვრილ ვაჭრებსაც და მომხმარებლებსაც.

იტალიის მანევრი

ლონდონი, 21 ოქტომბერი (საკდესი). მთელი ინგლისური პრესა პირდაპირი თუ არაპირდაპირი სახით გამოსთქვამს ეჭვს, რომ იტალიის თანხმობა საფრანგეთის და ინგლისის გეგმის მიღებაზე მოასწავებს მხოლოდ მანევრს, რომელსაც მოჰყვება ჩაურევლობის ლონდონის კომიტეტის მუშაობის შემდგომი ობსტრუქცია.

„დეილი ჰერალდი" სწერს: ინგლისურ წრეებში შეგნებული აქვთ, რომ ცვლილება იტალიისა და გერმანიის პოზიციაში ინგლისისა და საფრანგეთის გეგმების მიმართ მოასწავებს მხოლოდ მანევრს დროის მოგების მიზნით.

პარიზი, 21 ოქტომბერი (საკდესი). მთელი რიგი გაზეთები, უკეთებენ რა კომენტარიას იტალიის დელეგატის გრანდის წინადადებას ჩაურევლობის ლონდონის კომიტეტში („მოხალისეთა" მცირე რაოდენობის „სიმბოლური ევაკუაციის" შესახებ), ხაზს უსვამს, რომ გრანდის გამოსვლა არის მხოლოდ მანევრი დროის მოგების მიზნით.

ტაბუი „ევრში" სწერს, რომ რომიდან მიღებული ცნობით გრანდის მიერ დაკავებული პოზიცია ნაკარნახევი იყო მუსოლინის მიერ, რომელსაც სურს გააჭიანუროს პროცედურა ჩაურევლობის კომიტეტში სულ ცოტა ორი-სამი თვით.

ოქტომბრის აჯანყება

(დასასრული)

ნენ აჯანყებისათვის ბოლშევიკური სამხედრო ორგანიზაციის მიერ, ზუსტად ასრულებდნენ საბრძოლო ბრძანებებს და წითელი გვარდიის მხარდამხარ იბრძოდნენ.

აჯანყებაში დიდ როლს თამაშობდნენ კრონშტადტელი მატროსები. კრეისერმა „ავრორამ" თავისი ზარბაზნების ქუხილით 25 ოქტომბერს ქვეყანას აუწყა, რომ იწყებოდა ახალი ერა—ერა პროლეტარული სოციალისტური რევოლუციისა.

დროებითი მთავრობა დამარცხდა. იგი დაპატიმრებულ იქნა ზამთრის სასახლეში წითელი გვარდიის რაზმის მიერ.

რევოლუციის მთელი მომზადება და მისი ხელმძღვანელობა განახორციელა ერთმა პარტიამ, ბოლშევიკთა პარტიამ, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ რევოლუციის გენიალური სტრატეგები და დიდი ოსტატები ლენინი და სტალინი.

პარტიამ უზრუნველჰყო მუშათა კლასის გამარჯვება, გაანადგურა რა კონტრრევოლუციონერები—მენშევიკები და ესერები და მათი საზიზღარი დამქაშები — ტროცკისტ-ზინოვიეველი და მემარჯვენე ოპორტუნისტი გამცემლები.

ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი, რიკოვი, ბუხარინი—კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ეს საზიზღარი ლაქიები—ცდილობდნენ ჩაეშალნათ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება კაპიტალიზმის შენარჩუნების გულისათვის. მათი საერთო პლატფორმა იყო რწმენის უქონლობა მუშათა კლასის ძალებისადმი, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობის უარყოფა. ტროცკი საბოტაჟს უწევდა შეიარაღებულ აჯანყებას, მან ფაქტიურად შეატყობინა კონტრრევოლუციონერებს აჯანყების თარიღი, ყოველნაირად ჰფუშავდა პარტიის მიერ შეიარაღებული გამოსვლისათვის დანიშნულ ვადას, ჰფარავდა რა ამას იმაზე ლაყბობით, რომ საჭიროა აჯანყება საბჭოების ყრილობას შეუფარდოთო.

ლენინმა და სტალინმა გამოააშკარავეს ტროცკის გამცემლური ტაქტიკა, რომელსაც გარდუვალად მივყავდით პროლეტარიატის შეიარაღებული აჯანყების დამარცხებისაკენ.

პარტიამ იზოლაცია უყო და გაანადგურა პროვოკატორები და შტრეიკბრეხერები—ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი და სხვა გამცემლები და მოაწყო ძლევამოსილი შეიარაღებული აჯანყება ლენინისა და სტალინის მიერ შემუშავებული გეგმით.

„მოვლენებმა ცხადჰყო, რომ ლენინი სავსებით მართალი იყო. ცნობილია, რომ აჯანყება დაიწყო საბჭოების სრულიად-რუსეთის ყრილობის წინ. ცნობილია, რომ ძალაუფლება ფაქტიურად აღებულ იქნა საბჭოების სრულიად-რუსეთის ყრილობის გახსნამდე" (სტალინი, „ოპოზიციის შესახებ", გვ. 117).

საბჭოების მეორე ყრილობამ, რომელიც დაიწყო 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს), მიიღო პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა მასებს მიერ დაპყრობილი ძალაუფლება.

სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა. ძალაუფლება მშრომელთა ხელში გადავიდა. სამოქალაქო ომის თოფისწამლის კვამლში გახევეულმა მუშათა კლასმა და გლეხობამ, დიადი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, გაანადგურეს მტრები, შეუდგნენ მშენებლობას და ააშენეს ახალი სოციალისტური საზოგადოება. არაჩვეულებრივად მოკლე ისტორიულ ვადაში, პროლეტარიატის გენიალური ბელადების ლენინისა და სტალინის მიერ დასახული გეგმით, ჩამორჩენილი ქვეყანა გადაიქცა მძლავრი ინდუსტრიის ქვეყნად მსოფლიოში უმსხვილესი სასოფლო მეურნეობით, რომელიც აღჭურვილია მოწინავე ტექნიკით. საბჭოთა კავშირი გახდა სოციალიზმის მიუვალი ციხე-სიმაგრე, რომლის საზღვრებსაც ფხიზლად იცავს უძლეველი წითელი არმია. საბჭოთა ხალხი, რომელსაც ხელმძღვანელობს გმირული ბოლშევიკური პარტია დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მეთაურობით, აღსავსეა შეუდრეკელი ნებისყოფითა და გადაწყვეტილებით—იბრძოლოს შემდგომი გამარჯვებებისათვის.

მშრომელთა მტრები—ფაშისტები და მათი აგენტურა—ტროცკისტ-ბუხარინელ ჯაშუშთა ხროვა ვერ მოახერხებს ხელი შეუშალოს ჩვენს ძლევამოსილ წინსვლას.

პარტიამ და მშრომელმა მასებმა გამოააშკარავეს და გაანადგურეს ტროცკისტ და მემარჯვენე მოღალატეთა მრავალი ჯაშუშური ბუდე. ხალხის მტრები ყველანი უკლებლივ დაუნდობლად გასრესილი იქნებიან. სოციალიზმის ქვეყნის მშრომელნი მხნედ და რწმენით მიდიან წინ კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ

ლონდონი, 21 ოქტომბერი (საკდესი). „მანჩესტერ გარდიანი" აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაძლიერდა ფაშისტური ტერორი იტალიაში. ტერორის გაძლიერება იმით არის გამოწვეული, რომ იტალიელ მუშათა, მოსამსახურეთა, გლეხთა და წვრილ ვაჭართა შორის დღითი-დღე მატულობს სიძულვილის გრძნობა ფაშისტური მთავრობისადმი, რომელიც მათი სურვილის მიუხედავად ინტერვენციას ახდენს ესპანელი ხალხის წინააღმდეგ.

დაპატიმრებულთ აწამებენ, აბუჩად იგდებენ და უსასტიკესად სჯიან. ანასწინათ სპეციალურად პოლიტიკურ პატიმართათვის გახსნეს ახალი საკონცენტრაციო ბანაკები. ეს ახალი ბანაკები უკვე შევსებულია ფაშისტური ტერორის მსხვერპლებით, რომლებიც იქ განსაკუთრებით მძიმე პირობებში იმყოფებიან.

ფლორენცია, სწერს შემდეგ გაზეთი, დიდ მღელვარებათა ცენტრს წარმოადგენს. უმუშევრები აქ გაცილებით მეტი არიან ვიდრე სადმე. წვრილი გლეხები და მუშები საშინელ პირობებში ცხოვრობენ. ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში ამ პროვინციის მუშებმა და გლეხებმა აშკარა წინააღმდეგობა გაუწიეს ფაშისტურ რეჟიმს. პატარა სამრეწველო ქალაქ ემპოლიში, რომელიც მდებარეობს 40 კილომეტრის მანძილზე ქალაქ ფლორენციიდან, პოლიციამ აღმოაჩინა ორგანიზაცია, რომელიც სახსრებს აგროვებდა ესპანელი რესპუბლიკური მთავრობის სასარგებლოდ. ამის შედეგად დააპატიმრეს 130 კაცი. ასეთივე ორგანიზაცია აღმოაჩინეს პოსტ პონტასიევეში. ეს ორგანიზაციაც აწარმოებდა მუშაობას ფაშისტური ინტერვენციის წინააღმდეგ ესპანეთში.

თვითმფრინავ „ნ-209"-ის საძებნელად

ყინულმჭრელი „რუსანოვი" მივიდა რუდოლფის კუნძულთან.

მოსკოვი, 22 ოქტომბერი (საკდესი). ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს უფროსმა ამხ. ო. ი. შმიდტმა 22 ოქტომბერს რუდოლფის კუნძულიდან საჰაერო ექსპედიციის უფროსის საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. შეველიოვისაგან, ექსპედიციის პარტორგის ამხ. მიტროშკინისაგან და რუდოლფის კუნძულის პოლარული სადგურის უფროსის ამხ. ლიბინისაგან მიიღო შემდეგი რადიოგრამა:

„21 ოქტომბერს 21 საათსა და 30 წუთზე ყინულმჭრელი „რუსანოვი" მისი კაპიტნის ამხ. ბურკეს შესანიშნავი და გაბედული მანევრით მივიდა რუდოლფის კუნძულთან. ახლა ყინულმჭრელი გზას იკვლევს, რათა მიადგეს ნაპირს. შეველიოვი".

„რუსანოვი" მივიდა რუდოლფის კუნძულთან. ახლა ყინულმჭრელი ადგება ნაპირს მძიმე ბორცვოვან ყინულში. მეზამთრეები და ექსპედიციის მონაწილეები მზად არიან საავრალო მუშაობისათვის გემის გადმოსატვირთავად. ყველა კარგ გუნებაზეა. მიტროშკინი, ლიბინი".

ალიოხინ-ეივეს მატჩი

ამსტერდამი, 22 ოქტომბერი (საკდესი). მერვე პარტია მატჩისა მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში ეივესა და ალიოხინს შორის გათამაშდა გუშინ ლაიდენში. ეივემ, რომელიც შავებით თამაშობდა, ნიმცოვიჩის დაცვა გამოიყენა. მე-9 სვლაზე ალიოხინმა გადაუხვია ჩვეულებრივ გაგრძელებას, და პარტიამ მწვავე ხასიათი მიიღო. ეივე, ალბათ, წინანდელ დამარცხებათა გავლენით, საჭირო სიზუსტით ვერ თამაშობდა. ალიოხინმა იერიში განავითარა და აიძულა ეივე დაეთმო პარტია მე-26 სვლაზე.

მატჩის ანგარიში 5:3 ალიოხინის სასარგებლოდ.

ადგილობრივი გაზეთების ლიტერატურულ მუშაკთა ხელფასის შესახებ

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1 ნოემბრიდან დააწესა რაიონული, საქალაქო და საოლქო გაზეთების ლიტერატურულ მუშაკთა ახალი ყოველთვიური განაკვეთები.

რაიონულ გაზეთებში რედაქციათა მდივნები ყოველთვიურად მიიღებენ 350-დან 400 მანეთამდე, ლიტერატურული თანამშრომლები—300—400 მანეთს.

საქალაქო გაზეთებში განყოფილებათა გამგეებისათვის დაწესებულია თვიური ხელფასი 450—500 მანეთი, ლიტერატურული თანამშრომლებისათვის 350—450 მანეთი.

რესპუბლიკურ და საოლქო გაზეთებში განყოფილებათა გამგეები მიიღებენ 550—650 მანეთს. ლიტერატურული თანამშრომლები—450—550 მანეთს. („პრავდა").

წინასადღესასწაულო ვაჭრობა

საოქტომბრო დღესასწაულისათვის საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებს თბილისის ბაზარზე გამოაქვთ მრავალი ახალი, სხვადასხვა ხარისხის კულტ-საქონელი. ბაზარზე დიდი რაოდენობით იქნება გამოტანილი ვენეციური შალები, საყელოები, აბრეშუმის კოჭის ძაფი, სავარცხლები, ცელულოიდის ნაწარმი, საკანცელარიო ნივთები და სხვ.

მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკამ ოქტომბრის დღესასწაულისათვის დაამზადა 51 პიანინო.

საგალანტერიო ფაბრიკა „კომსომოლკამ" დღესასწაულებისათვის აითვისა მხატვრული ნახატებით შემკული სელაპის ფარდებისა და სელაპის ხალათების (კუპონებად) წარმოება.

ცელულოიდის ფაბრიკა გამოუშვებს ქალის სამაჯურებს. ავეჯის ფაბრიკა—ახალი ხარისხის შიფონერებს, მაგიდებს, კვარცხლბეკებს, და სხვ.

სახელმწიფო ვაჭრობას ეს საწარმონი აძლევენ 1.344.000 მანეთის ახალ საქონელს. (საქდესი).

აღმოჩენები წალკის რაიონში

ხრამჰესის მშენებლობის ტერიტორიაზე, იმ ადგილას, სადაც უნდა მოეწყოს წყლის სათადარიგო საგუბარი, ორი წელიწადია პროფ. ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები.

1936 წელს გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა მხოლოდ ფრაგმენტული სახის უძველესი ხანის კერამიკა.

წელს სწარმოებდა ორი დიდი სამარხის გათხრა. ერთი სამარხი, აღმოჩენილი ჩონჩხისა და სამკაულების მიხედვით, წარმოადგენს მთავრის ქალიშვილის ან მისი მეუღლის სამარხს.

სამარხში ნაპოვნია უძველესი ხანის იშვიათი ხელოვნებით ნაკეთები ოქროს ნივთები, აღმოჩენილია აგრეთვე 1936 წელს ნაპოვნის მსგავსი კერამიკა და საგანი, რომელიც წინასწარი დაკვირვებით წარმოადგენს საგვარეულოს ან სახელმწიფოს მმართველის ბეჭედს.

ყველაზე დიდ და ისტორიული მნიშვნელობის საგანს წარმოადგენს ამ სამარხში ნაპოვნი, საკმაოდ დიდი მოცულობის ვერცხლის თასი, რომლის წონა უდრის 250 გრამს.

თასის გარშემო ორ რიგად გამოყვანილია რელიგიურ-რიტუალური სცენა. ხასიათი სცენისა და გამოსახვის ტექნიკა თასს აკუთვნებს ხეთური ხელოვნების ძეგლებს.

პროფ. კუფტინის აზრით, ნახული ოქროს სამკაულები, კერამიკა და თვით თასიც შემთხვევით შემოტანილ საგნებს არ წარმოადგენენ, ვინაიდან ამგვარი ოქროს სამკაულები და განსაკუთრებით კერამიკა ბლომად არის ნაპოვნი აგრეთვე 1936 წლის გათხრების დროსაც.

გათხრები გრძელდება და უნდა ვიფიქროთ, რომ ამ რაიონში აღმოჩნდება მეცნიერებისათვის კიდევ ბევრი საინტერესო მასალები.

მწერალთა კავშირში

26 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის, 13) პროზაიკოსებისა და დრამატურგების გაერთიანებულ სხდომაზე აკაკი ფაღავა წაიკითხავს მონოგრაფიას ლადო მესხიშვილზე.

შესავალი სიტყვა ი. გრიშაშვილისა.

სხდომაზე მოწვეულნი არიან მწერლები, კრიტიკოსები და თეატრის მუშაკები.

ლენინგრადი—თბილისი

ფეხბურთის მატჩი საკავშირო პირველობაზე

[illegible], 24 ოქტომბერი. თბილისის „დინამო" მეთოთხმეტე მატჩს თამაშობს საკავშირო პირველობაზე. დღეს მის წინააღმდეგ გამოდის ლენინგრადის „კრასნაია ზარია", რომელიც უძლიერესი [illegible] კოლექტივია საბჭოთა კავშირში.

აღსანიშნავია, რომ შარშანდელი მატჩი საკავშირო პირველობაზე თბილისის „დინამოსა" და „კრასნაია ზარიას" შორის შესდგა თბილისში, მიმდინარეობდა კოკისპირულ წვიმაში და დამთავრდა ლენინგრადელების გამარჯვებით ანგარიშით 3:2.

„კრასნაია ზარია" ამ მატჩით ამთავრებს პირველობის გათამაშების კალენდარს. ამჟამად მას 15 მატჩიდან აქვს 27 ქულა. თბილისის „დინამოს" დარჩა კიდევ ერთი შეხვედრა, ამჟამად მას აქვს 29 ქულა.

შოფერ გ. თავართქილაძის საქმე

7 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, გერმანელთა ქუჩაზე (ნავთლუღი) უცნობი შოფერი სწრაფად მიაქროლებდა საბარგო ავტომანქანას. სამხედრო ჰოსპიტლის მახლობლად მანქანა წამოეწია ქუჩაზე მიმავალ უცნობ მუშას და გასრისა. უკან მსუბუქი ავტოთი მიდიოდა მოქ. ა. გოგაძე. ნახა მან, რომ ხულიგანმა შოფერმა კაცი იმსხვერპლა, თვითონ კი კიდევ უფრო სწრაფად გააქროლა თავისი საბარგო ავტო. გოგაძემ აიყვანა სასიკვდილოდ დაჭრილი უცნობი, მიიყვანა საავადმყოფოში, ხოლო თვითონ დაუყოვნებლივ დაედევნა ხულიგანს.

ხულიგანი — შოფერი აღარ სჩანდა. გოგაძემ მაინც განაგრძო დევნა. მამუკას სოფელთან გოგაძეს შეხვდა ავტომობილი, რომელსაც მართავდა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი შოფერი.

— ხომ არ შეგხვედრიათ ისეთივე საბარგო ავტო-მანქანა, როგორიც თქვენია?

— როგორ არა, შეგხვდა, დიდი სისწრაფით მიჰქროდა სოღანლუღისკენ, ნუ დაედევნებით, სულერთია ვერ დაეწევით.

გოგაძე დაეჭვდა შოფერის პასუხმა. რა იცის მან, რომ მე მას დავედევნეო და სამხედრო ფორმიან შოფერს შეუმჩნევლად უკან გაჰყვა, ჩაიწერა მისი მანქანის ნომერი (ავტო № 59—80).

მილიციამ გამოიკვლია დაღუპულის ვინაობა. იგი აღმოჩნდა კარიერების მუშა ს. ლაბანოვი, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

მოქ. გოგაძემ, რომელმაც საზოგადოებრივი მოვალეობის ამდენი შეგნება გამოიჩინა, მივიდა მილიციაში და თავის ეჭვის შესახებ განცხადება წარადგინა. სამხედრო ფორმიანი შოფერი აღმოჩნდა გ. ე. თავართქილაძე. გამოიკვლიეს მისი მანქანა და წინა თვლის ერთ ფრთაზე აღმოჩნდა ადამიანის სისხლი და თმა. თავართქილაძემ თავი დამნაშავედ არ სცნო.

ლაბორატორიაში გამოიკვლიეს ავტომობილზე აღმოჩენილი სისხლის ნიმუშები და თმა. აღმოჩნდა, რომ ეს სისხლი და თმა ეკუთვნის დაღუპულ ლაბანოვს. შოფერი მაინც არ გამოტყდა.

ამჟამად თავართქილაძე დაპატიმრებულია და მალე წარსდგება მართლმსაჯულების წინაშე.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

25 ოქტომბერს

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: იაპონიის აგრესია ჩინეთში. კონსულტანტები ქართულ ენაზე—ამხ. დ. დანელია, რუსულ ენაზე — ამხ. დ. ბლიაუ. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

* * *

25 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, საკ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პარტკაბინეტში სსრკ უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელი წრეების ხელმძღვანელებისა და აგიტატორებისათვის შესდგება ჯგუფური კონსულტაცია რუსულ ენაზე. თემა: სტალინური კონსტიტუცია და სიტყვისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება.

* * *

25 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, საკ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება პროპსემინარის მორიგი მეცადინეობა.

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე
ა. იაკობაშვილი

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის
ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
მუდმივი ადგილების
ერთდროული ბილეთების შეძენის ვადა
თავდება 27 ოქტომბერს.
2-2 30

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1937/38 წლის სეზონი
ანონსი
პრემიერა
შ. დადიანი
ნაპერწკლიდან
დრამა 5 მოქმ. და 16 სურათად.
დადგმა აკ. ვასაძისა (სსრკ სახ. არტ., ორდენოსანი)
მხატვარი ირ. გამრეკელი (ხელ. დამს. მოღვაწე, ორდენოსანი)
მუსიკა დ. გაბიჩვაძისა.
2—1 40

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

24/X	მუდმ. ადგ. ტალონი № 9 ერთდრ. ბილეთის სერია № 3 ევგენი ონეგინი
26/X	მუდმ. ადგ. ტალ. № 10 ერთდრ. ბილეთის სერია № 4 ტოსკა
27/X	მუდმ. ადგ. ტალ. № 11 კარმენ

დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

24/X წარმ. № 19	ფიგაროს ქორწინება
26/X წარმ. № 20	სამანიშვილის დედინაცვალი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 ს. საღ. 9 საათ.
მუდმივი ადგილების მეორე შემოსატანი სავალდებულოა შემოტანილი იქნეს 26 ოქტომბრამდე.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1937—38 წ. სეზონი

24/X	წარმოდგენა 19. გმირთა თაობა
26/X	წარმოდგენა 20. ოტელო
27/X	წარმოდგენა 21. გმირთა თაობა

სალარო ღიაა 12 საათიდან.
დასაწყისი 8 საათზე.
25 ოქტომბრიდან დაიწყება მუდმივი ბილეთების ტალონების გაცემა. ვისაც მეორე გადასახადი არ ექნება შემოტანილი მას ტალონები არ მიეცემა. ბილეთების გაცემა იწარმოებს თეატრის ბუღალტერიაში 11 საათიდან 4 ს.-მდე.

სახცირკი. ტელ. 3-11-44
24 ოქტომბერს
2 წარმოდგენა დღისით
დასაწყისი 2 საათ. და
საღამოს დასაწ. 8 ს. 30 წ.
მრავალფეროვანი პროგრამა
3 განყოფილებად
დამსახ. არტისტების ძმ. ტანტების
გამოსვლა. სალარო დილის 10 საათიდან.
25 ოქტ. ზაპოროჟელთა პირველი გამოსვლა. აკრობატულ-საცეკვაო ანსამბლი.

გორის სამასწავლებლო ინსტიტუტს
სჭირდება კვალიფიციური ბიბლიოთეკარი.
ხელფასი შეთანხმებით.
მიეცემა ოთახი.
მისამართი: გორი, სამასწავლებლო ინსტიტუტი.
17420 დირექცია.

თბილისის საქალაქო რკინიგზების ტრესტი
აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ
განახლდა
ტრამვაის აბონემენტების გაყიდვა
აბონემენტები გაიყიდება: ა. კ. ფედერაციის მოედანზე, ტრამვაის სადგურთან დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე და ტრამვაის პარკთან დილის 8½ საათიდან დღის 3½ საათამდე.
თბილისის საქალაქო რკ. გზ. ტრესტის სამმართველო.
1743

დღეს კინოთეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135	ახალი ხმოვ. კომედია ოქროს ტაიგა დასაწყისი 6-30
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125	ხმოვანი ფილმი პარიზის თალებ ქვეშ დასაწყ. 6-30
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91	საზამთ. შენობა უჩინარი ადამიანი დასაწყ. 6-30
რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	ხმოვანი ფილმი პარიზის თალებ ქვეშ დასაწყ. 6-30
სპარტაკი რუსთაველის გამზ. № 23	ახალი ხმოვანი კომედია ოქროს ტაიგა დასაწყ. 6-30
26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი	ხმოვანი ფილმი ცირკი დასაწყ. 6-30
კომინტერნი ბრძოლის ქ. № 222	ხმოვანი ფილმი პეტრე I-ლი დასაწყ. 8 ს.
ახალი ამბები	ხმოვანი ჟურნალები № № 41, 42.
არსენა კომუნალური ქ. № 9	ხმოვანი ფილმი ალმასების ხროვა დასაწყისი 7 საათზე.

ა. დ. ქლენტი
შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭ-ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 7—8 ს. ოთხშაბათობით უფასოდ.
მისამართი: წყნეთის ქ. № 8 17278

ექიმი
ი. ბეგთაბეგი
დაბრუნდა
ჯორჯაძის ქ. № 5. 1739

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამ დივნოსი: 3—06—88. განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო ამეურნეოს — 3—73—40.
მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის— 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 63.

მთავლიტის რწმუნებული შ—8347